I
1988

645/1988/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



№121

# საქართველოს ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი ჭადრაკში ნანა იოსელიანი

ჯ. ლომაძის ფოტო

„საქართველოს ქალი"

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულების ხელმოწერა ვაშინგტონში მნიშვნელოვანი მიჯნაა საერთაშორისო განვითარებაში. პრაქტიკული დასაბამი მიეცა უბირთვულიარაღო მსოფლიოს მშენებლობას. ეს ხელშეკრულება ისტორიულია, რადგან მასში პირველად ეხება საქმე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ორი კლასის ბირთვული შეიარაღების რეალურ ლიკვიდაციას.



მ. ს. გორბაჩოვი პრესკონფერენციაზე საბჭოთა საელჩოში

## მონატრება

ყოველ ახალ წელს საქართველოს ტელევიზია გვთავაზობს „კოლხური ტრიოს“ კონცერტს, და მერამდენედაც არ უნდა ვისმენდეთ დონარა მიმინოშვილის, დარეჯან ფაჩულიასა და ბელა ქამადაძის ტკბილ ხმებს, მათი ჩონგურის საოცარ ჰანგებს, ყოველთვის ურუანტელი გვივლის და ამაღლებული განწყობილება გვეუფლება.

ტრიომ ორჯერ გაიმარჯვა ხალხური სიმღერების შემსრულებელთა კონკურსზე და ოქროს მედლებიც მიიღო. მას იცნობენ საქართველოს გარეთ, იგი წარმატებით გამოდის საკავშირო სატელევიზიო გადაცემაში, იმარჯვებს საკავშირო ტელეკონკურსში. განსაკუთრებით პოპულარულია ცხაკაიელ მომღერალთა მიერ შესრულებული მეგრული სიმღერები და მათ შორის, „ცირა, ცირა, ნანაია“. მათი შეფასებისათვის შეიძლება ქართული ხალხური სიმღერების უბადლო ოსტატის ჰამლეტ გონაშვილის სიტყვები მოვიშველიოთ:

„რა კარგები ხართ, რა გულწრფელები მომაჯადოებელი მეგრული სიმღერის შესრულებისას. თქვენ ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც შესანიშნავი, უმანკოებითა და სიფაქიზით აღვსილნი ყოფილხართ. ქედს ვიხრი თქვენი ღირსების, თქვენი სიმღერის წინაშე“.

თაყვანისმცემლები ბევრნი ვართ. და გავა თუ არა ცოტაოდენი დრო მათი სიმღერების მოსმენიდან, ისევ შემოიპარება გულში მათი მონატრება, მათი საოცრად შერწყმული ხმების მოლოდინი და სული ელის, ელის მის გაგონებას.

ამიტომაც ავირჩიეთ ახალი, 1988 წლის მეკვლედ ყველასათვის სანატრელი „კოლხური ტრიო“ და გვსურს უფრო ხშირად შევხვედროდეთ ერთმანეთს, გრძნობებით ავმაღლებულიყავით, დავწმენდილიყავით, გავლამაზებულიყავით.



## გილოცავთ!

მარიკა ბარათაშვილი

# საახალწლო

აჰა, მოვიდა, აღმობრწყინდა
ახალი წელი!
სავსე აქვს კალთა იმედებით —
აურაცხელით.
ყველაზე მეტად რას ინატრებს
გული და თვალი? —
ქორწილ-ძეობებს იმედიან
ახალწლის ღამის.
მაინც ვინ არის, ვინ მოვიდა,
ვინ შეგვემატა?
ეგებ რუსთველი! (ასწლეულებს
ვალად ემართათ)
ეგებ აკაკი, ეგებ ვაჟა, ეგებ ილია!
(მერმისს გავყურებ... ცა სადაროდ
მოწმენდილია!)
ან იქნებ ნესტან, ეთერ, ვახტანგ,
ანდა შავლეგო?
მივწვდეთ სამრეკლოს, სიხარულის
ზარი დავრეკოთ!
რომ არ დაგვჯაბნონ მტრებმა,
წლებმა
რომ არ წაგვლეკოს,
უნდა ვიმრავლოთ ნინო, თამარ,
საბა, შავლეგო!
რომ არ იფიქრონ, სადარდელი
მტრისა მოთავდა,
უნდა ვიმრავლოთ ორჯერ? სამჯერ?
ბარე ოთხმაგად!

მჯერა, ეს წელი სასიკეთო
სიტყვას დაგვაწევს
და ვიღებ სასმის: მზეგრძელობა
ასეთ ახალ წელს!

1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაგვილოცნიხართ!

18723



დ. იაკობაშვილის ფოტო

ძვირფასო თანამემამულენო! დადგა ახალი, მკვეთრი გარდაქმნის წელი, მეტი გარჯის, მეტი შემართების, მეტი ძიების, იმედისა და მშვიდობის მომტანი წელი. დაე, ამ წელსაც და შემდგომ წლებსაც ისევ სიკეთე მოეტანოს მამულისათვის და ადამიანთა ერთობლივი შრომის ნაყოფით სიამოვნება მიენიჭებინოს თითოეული ჩვენგანისათვის.

დღენიადაგ ზრუნვა და ყურადღება ნუ მოჰკლებოდეს ადამიანთა ხელითა და გონებით ნაგებ-ნაშენებ ჩვენს მამულს. პატივი მივაგოთ ყველა ერის კულტურას, ვიზრუნოთ ადამიანთა შორის კეთილი ურთიერთობისათვის, ეს არის აუცილებელი გზა ქვეყნად მშვიდობის დასამყარებლად, ვიზრუნოთ მომავალი თაობის გასამრავლებლად, გავუფრთხილდეთ ოჯახის სიწმინდეს.

ჩვენ, ლუბა და იასონ კატუკიებს ჩვენი ცხოვრების ოთხმოცი და ქორწინების ორმოცდათხუთმეტი წლის მანძილზე ბევრი რამ გვინახავს და განგვიცდია საკოლმეურნეო ცხოვრების დამკვიდრებიდან დღემდე. ხუთი შვილი გავზარდეთ. მეექვსე ვიშვილეთ. მრავალ სიძნელეს გავუძელით... დღეს ბედნიერებას და სიხარულს ვიმკით შვილების, შვილიშვილების და შვილთა შვილიშვილების შემყურენი.

ახალგაზრდებო! ოჯახი და შვილები ყველა დონის ადამიანისათვის თავიდათავია, მათგან განდგომა სამშობლოს ღალატია. მეცნიერული ხარისხი, დიდი თანამდებობა, სპორტული თუ ხელოვნების სხვა დარგის მიღწევები ზღვაში წვეთია. ზღვა მხოლოდ ბევრი შვილია. ბევრი შვილი სამშობლოს სიცოცხლის ხანგრძლივობაა. სამშობლო ხომ, უპირველესია!

დაგვილოცნიხართ, ახალგაზრდებო! დაწყვილების, დაოჯახების მომტანი ყოფილიყოს თქვენთის ახალი 1988 წელი! იმრავლეთ, ფუძე გაუმაგრეთ მამულს, კერა გააჩაღეთ, ბუხარი გაალვივეთ მამა-პაპეულ გამოკეტილ სახლ-კარში.

თუ გსურთ ჯანმრთელობა, — სულის და ხორცის, — გაისარჯენით, იშრომეთ, არ შეუშინდეთ ჯაფას!

რთველს ერთვლოს თქვენით, აკვნებს ემრავლოს თქვენი სიმრავლით, თქვენი გარჯით, სალი გონებით მარად უკვდავი ყოფილიყოს ჩვენი სამშობლო! მარად მშვიდობა ბატონობდეს მთელს ქვეყანაზე აწ და მარადის!

ლუბა და იასონ კატუკიები,
ზუგდიდი.

ნაზი კილასონია

# მისი მუსიკა

ლისაბონის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის წოდება რომ მოიპოვო, ქართული საშემსრულებლო სკოლა რომ ასახელო, მართლაც მაღალი კლასის პიანისტი უნდა იყო. ისეთი, როგორც ელისო ბოლქვაძეა.



Rოდესაც ეს ახალგაზრდა ქართველი ქალი პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში მოხვდა, გულმა პატარა კათოლიკური ეკლესიისაკენ გაუწია. ეს გასაგებიცაა; ქეთევან დედოფლის წამების მხილველმა პორტუგალიელმა ბერებმა მისი წმინდა ნაწილები წამოიღეს და აქ დაკრძალეს... „ვგრძნობდი, რომ მარტო არ ვიყავი, ყველა ჩემიანად მეგულებოდაო“, და მაინც, შორი გზიდან ჩამოსული ქართველი პიანისტი ქალი იმასაც გრძნობდა, რომ საბრძოლო და გადასალახავი არც ისე ცოტა ექნებოდა: 1987 წლის ლისაბონის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატობის წოდების მოპოვება!—აი, ოცნება, რომელიც თან ჩამოჰყვა შორეული საქართველოდან. ელისო ბოლქვაძემ კარგად იცოდა რომ ამით ასახელებდა მშობლიურ კონსერვატორიას, ქართულ საშემსრულებლო სკოლას, ამაგდარ პედაგოგებს: ქალბატონ მაია წულუკიძეს, საქვეყნოდ ცნობილ თენგიზ ამირეჯიბს! ამიტომ, არც სალებავით საგანგებოდ დათხუპნულ სკამს შეუშინებია და არც რეპეტიციის კინაღამ ჩაშლას. ამ სერიოზულმა, ჭკვიანმა პიანისტმა იგრძნო, რომ ეს ყოველივე შემთხვევითი არ იყო. და მაინც არ აღელდა, გრძნობამოთოკილი მიუჯდა ინსტრუმენტს, ეს — გარეგნულად, შინაგანად კი, ალბათ ამ გრძნობის გადმოცემა გაუჭირდება. ერთი რამ კი მუდამ ახსოვდა: პასუხისმგებლობა თავისი ქვეყნის, ხალხისა და კულტურის წინაშე.

პირველი ჯილდო ჟიურიმ პორტუგალიელს არგუნა, (სხვათაშორის, ჟიურის თავმჯდომარე მისი მამა გახლდათ).

მეორე ჯილდო ქართველ პიანისტს, ელისო ბოლქვაძეს ხვდა. პირველი ჯილდოს მფლობელის დედამ ყვავილები მიართვა ელისოს და ჟესტ-მიმიკით „აუხსნა“ — პირველი ჯილდო სინამდვილეში შენია, შენ გეკუთვნისო...“

პოეტმა ტარიელ ჭანტურიამ, — ელისოს მამის, ზაურ ბოლქვაძის მეგობარმა მშვენიერი წერილი მიუძღვნა მის თვალწინ გაზრდილ პიანისტს. („ელისო — პირველი, ელისო — მეორე“. „ცისკარი“. 1987 წ. № 9). აი, რა არის აღსანიშნავი: მშვენიერი აზროვნება, კითხვებზე სწრაფი რეაგირება, ორიგინალური შეხედულებანი კონკურსებზე, შემსრულებლებზე, საქართველოზე, ვით უდიდესი მუსიკალური კულტურის ქვეყანაზე, პოეზიაზე, მომავლის სურვილებზე, მეგობრებზე და იმედებზე. „მე ბევრის იმედი მაქვსო“.

ელისო განსაკუთრებული სინაზით არის განწყობილი დედისადმი ნანა დარჩია ჟურნალ „საუნჯის“ პასუხისმგებელი მდივანი, ყველა ქართველი მწერლის მეგობარია.

საუბრისას ელისო კვლავ პორტუგალიას და ივლისის პაპანება დღეებს იხსენებს, არ ივიწყებს დიდებულ პორტუგალიელ მსმენელს და შემსრულებელს „იყო წუთები, სკამები თუ გადარჩებოდა, არ მეგონაო“. და მაინც:

ყველაზე პრესტიჟული მისთვის ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსია. „ხომ არ გიფიქრია ამ კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე?“ — ჰკითხა ტარიელ ჭანტურიამ.

— მიფიქრია, რადგან ფიქრი იოლია. ძნელია მონაწილეობა: ჯერ — უფლების მოპოვება, მერე — „ბრძოლა!“

* * *

ახლა ივლისიდან ნახევარი წელი გვაშორებს.

ზამთრისპირა ქარი გრიალებს, ვერეს ხეობაში, თითქმის გრიგალობს.

და ამ გრიგალში ინასკვება მზისკენ, გაზაფხულისაკენ მქროლავი კვირტი. სმენას წვდება მისი მუსიკა...

ნუგზარ აფხაზავა

# სამკუთხედი



მხატვარი კარლო ფაჩულია

— შენთან საქმე მაქვს, — ჩამჩურჩულა ოთარმა, მკლავში ხელი წამავლო და განზე გამიყვანა. ფანჯარასთან მივდექით და სიგარეტს მოვუკიდეთ. მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია, მერე კი გამახსენდა: ხელები უკანკალებდა, — ოღონდ, თუ ძმა ხარ, ჩვენში უნდა დარჩეს. კარგი?

— ა, — ხელი მივუტყაპუნე ბეტონის გრილ კედელს, — ა, ამას ხომ ხედავ: ესა ვარ. ცხონებული ბებიაჩემი პატარაობისას მაქსიმელა დიაკვნის ჯორს მეძახდა. იმ ჯორივით ვიცოდი გაჯიუტება. მას მერე ძალიან არ შევცვლილვარ. აბა, მიამბე!

— საამბობი კი არაფერი მაქვს... — აიწურა, — სათხოვარი მაქვს.

— ფული გინდა, ბიჭო?

— ფული კი არა! — ხელი აიქნია. — ლექსი მჭირდება, ნოდარ, ლექსი! ერთი კარგი ლექსი, ბიჭო, სულ პატარა, — ციდა მაჩვენა. — ა, ამხელა.

— ლექსი? — თვალები დავაჭყიტე. — ლექსების მეტი რა იბეჭდება, ოთარ ჩემო, ჟურნალებში, გაზეთებში, ცალკე წიგნებადაც მევრი გამოდის...

— მოიცა, მოიცა! რომ იბეჭდება, ისინი კი არ მაინტერესებს. მე სხვა ლექსი მინდა, ჯერ რომ არავის წაუკითხავს, ისეთი. მოკლედ, ერთ გოგოს უნდა გავუგზავნო...

— მეხუმრები?

ოთარმა ტუჩებზე ხელი ამაფარა.

— რა მეხუმრება, ბიჭო, დანა პირს არ მიხსნის! მოიცა, მომისმინე: ერთი გოგონა მომწონს, ნოდარ. არა, მომწონს კი არა...

— ცოტა მეტიც, ალბათ.

— ჰო, ნუ იცინი, ცოტა მეტიც. მაგრამ ვერაფერი რომ ვერ მითქვამს? რამდენჯერმე დავაპირე და... ამაოდ... წერილს მივწერ-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ... ვერც ეს მოვახერხე. აი, ლექსის წერა რომ შემეძლოს... — ოთარმა მზერა ამარიდა და ფანჯრიდან გახედა ქლიავისფერ მთებს. — ისეთ ლექსს დავწერდი, რომ... ლექსი სულ სხვა ამბავია. უფრო ნაღდია.

მივხვდი:

— აჰა, მაშასადამე, გინდა, რომ ლექსით გადაუშალო გული, ხომ?

— ჰო, ნოდარ!

— და ის ლექსი მე დაგიწერო, ხომ?

— ჰო, ბიჭო, ჰო! — გაუხარდა და კისერი დაიგრძელა, ძლივს ჩაყლაპა ნერწყვი. ხახა გაუშრა ალბათ.

დავფიქრდი. ვისაც სერიოზულად უცდია ლექსის წერა, იმან იცის, რა სირთულესთანაა დაკავშირებული დასრულებული აზრის გადმოცემა პოეტური ფორმით, ესე იგი, მეტრის, რითმის, რიტმის გათვალისწინებით, პოეტური სახეებით, მეტაფორებით, ეპითეტებით, ევფონიითა და მისთანებით. განსაკუთრებით ძნელია ლექსის წერა ჩემთვის, ვისაც თავი დღენიადაგ მათემატიკური ანალიზით, თეორიული მექანიკით, ელექტროტექნიკით, მასალათა გამძლეობითა და სხვა არაპოეტური საგნებით მაქვს გამოტენილი, და თუ მაინც შემიძლია ასე თუ ისე ასატანი ლექსების წერა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დაკვეთით ლექსის შეთხზვაც ხელმეწიფებოდეს. ამიტომ:

— ძნელი საქმეა ეს, ოთარ, — თავი გადვქვაქნიე, — ძალიან, მეტისმეტად ძნელი!

— ძნელი რომაა სწორედ იმიტომ გთხოვ. აბა ადვილი რომ იყოს და თვითონ შემეძლოს...

— თანაც, ჩვენში დარჩეს და, მაინცდამაინც არც მორალურადაა გამართლებული. მოგეხსენება, საბჭოთა ახალგაზრდის ზნეობრივი სახე... — დავიწყე პათეტიკურად, მაგრამ...

— მორალური მხარე ჩემზე იყოს, — შემაწყვეტინა ოთარმა, — ამ ცოდვას მე ვკისრულობ. ოღონდ, — ყელის გამოწევით შემევედრა, — ოღონდ ახლა მიხსენი და...

— კარგი, ეგრე იყოს, — ამოვიოხრე. — ამიწერე ერთი, როგორი გოგოა.

— როგორი? რა ვიცი. ჩვეულებრივი გოგოა, — დაიბნა ოთარი. — შავგვრემანი, შავთვალწარბა, ეშხიანი, კოხტა და მოღიმარი. სულ ესაა.

კეფა მოვიქექე: რამდენი ამისთანა გოგონაა თბილისში...

— ჰო, კარგი, ვნახოთ.

— შენს ხელში ვარ, იცოდე!

●

შინისკენ მიმავალს (ჩემი „შინ“ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელია) ავტობუსის გაჩერებასთან ლია გოგიჩაიშვილი შემომხვდა. ლია ჩემი თანასოფლელია, საშუალო სკოლა ერთად დავამთავრეთ. ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, მე მისთვის „ძმა“ ვარ და ყოველი შეხვედრისას, თუნდაც ორი დღის უნახავი ვიყოთ, ლოყაზე მკოცნის ხოლმე. საერთოდ, ბევრ გოგონასთან ვმეგობრობ, მაგრამ ლიას მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია. როცა ლია ჩემს გვერდითაა, სხვა გოგოები აღარ მაგონდება, ხოლო როცა სხვა გოგონებთან ვარ, თითოეულ მათგანს უნებლიეთ ლიას ვადარებ ხოლმე. და ლია ყოველთვის გამარჯვებული რჩება. აი, ასეთი ქალიშვილი გახლავთ ჩემი თანაკლასელი. ამიტომაც გამიხარდა მისი დანახვა.

ლიას გლუვი პირისკანი, შავი თმა და შავი თვალ-წარბი აქვს. ერთი ცნობილი ქართველი მხატვრის სურათს ჰგავს. ოღონდ იმ

სურათის ქალიშვილი მოღუშული და სევდიანია, ლია კი სულ ხალისიან გუნებაზეა, ამიტომაც ხუმრობით „ქალი, რომელიც იცინის“ შევარქვი.

ახლაც მხარზე ხელი მომხვია, ცხელი ბაგეებით ლოყაზე შემეხო და კისკისი აუტყდა.

— რა დაგემართა? — გავიკვირვე.

— როგორ სოლომონ ბრძენივით დადინჯებულხარ! არ გშვენის დასერიოზულება. შენს ადგილას რომ ვიყო, სულ ვიცინებდი, რადგან, როცა იცინი, კეთილი კაცის სახე გაქვს და შარაგზის ყაჩაღს აღარ ჰგავხარ.

— დიდი მადლობა! შენ იმდენს იცინი, რომ ორივეს გეგმას გადაჭარბებით ასრულებ.

ლიამ უფრო ხმამაღლა გადიკისკისა, მერე უცებ ტუჩებზე ხელისგული აიფარა და მიმოიხედა — ეს რამოდენა გამეცინაო.

დღევანდელი ისტორია ვუამბე. ოთარის სახელი, რა თქმა უნდა, არ მიხსენებია: საიდუმლო-საიდუმლოა!

— გლახა ყოფილა ის შენი ძმაკაცი! — უიმედოდ ჩაიქნია ხელი ლიამ. — რას მიქვიან მორცხვობა და მორიდება! ტყუილია ის შეგონება — „სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარავსაო“... აკი ამბობენ გურულები: „ჩემო ძმაო, სიყვარული რას მიქვია დაფარულიო!“ იჰ, მე რომ ბიჭი ვიყო? ავდგებოდი, მივიდოდი იმ გოგოსთან და ვეტყოდი პირდაპირ, რაც სათქმელია. ეგრევე პირში მივახლიდი — გაიხედ-გამოიხედე, შე ულმერთოვ, შე ხისთავავ, რამ დაგაბრმავა, ვინმემ თვალში ნაცარი ხომ არ შეგაყარა-მეთქი!

— შენ კი ეტყოდი?

— აბა რა? ვის სჭირდება ახლა ლექსი და მაჭანკალი? რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ? თუმცა... — ლიამ გაიღიმა და, რატომღაც ლაწვები ბროწეულის ყვავილისფრად შეეფაკლა. — მეც ვიცნობ ერთ ყმაწვილს, შორით რომ იწვის და იდაგება.

„ვაიმე! რამე ხომ არ შემნიშნა?“ — გამცრა ტანში.

— ეჰ, ტყუილად ტრაბახობთ ჩვენი ბიჭები, ასეთები და ისეთები ვართო, — დაასკვნა ლიამ. — არა, ძმაო, ასპროცენტიანი დედლები ბრძანდებით, გადაგვარების გზას ადგახართ.

თანხმობის ნიშნად თავი დავუკანტურე და სასწრაფოდ დავემშვიდობე. გაქცევას აღარაფერი მიკლდა.

●

ტყუილად კი არ ვშიშობდი — მართლა შავი დღე დამადგა იმ ლექსის წერისას. ღმერთი, რჯული! — არც მელანი დამიზოგავს, არც ქაღალდი და მონდომება, მაგრამ გაანგრიე კლდე შუბლით, თუ ვაჟკაცი ხარ! რაღაც ხუხულასნაირი ლექსები გამომდიოდა, დავწერდი, წავიკითხავდი და სულის შებერვით ინგრეოდა. მეცოდებოდნენ ჩემი ოთახის ბინადარნი, თავზე საბანწახურული ბიჭები, ელექტრონათურის შუქზე დაძინებას რომ ვერ ახერხებდნენ, მაგრამ რა მექნა, სიტყვა-სიტყვაა! ამიტომ კიდევ კარგა ხანს ვიწვალე, ხოლო ბოლოს, როცა საბოლოოდ მივხვდი, წყალს ვნაყავ და ბიჭებს ტყუილად ვაწვალებ-მეთქი, შუქი გამოვრთე და დავწექი.

დავწექი, მაგრამ არა და არ დამეძინა, გამიტყდა ძილი და ვერაფრით ვერ მოვხუჭე თვალი. განვლილმა დღემ რამდენჯერმე ჩაიარა ჩემს თვალწინ და, როგორც ყოველთვის, ახლაც ამ დღის მთავარ მოვლენად ლიასთან შეხვედრა მეჩვენებოდა. იდგა ის დალოცვილი და გულიანად კისკისებდა: ე, ბიჭო, თქვი, თუ რამე სათქმელი გაქვსო, — მეუბნებოდა, — ნაღდი კაროჟნა ხარ, რავა გასათხოვარი ქალივით იპრანჭებიო, თქვი, თორემ ცოტას გადროვებ და მერე მე გეტყვიო... ერთი სიტყვით მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო, ისე იყო ჩემი საქმე... მერე ისევ ოთარი გამახსენდა და... აი, ვთქვათ, მე ოთარი ვარ და მიყვარს... მიყვარს, ვთქვათ, ლია. არ შეიძლება, მაგრამ დავუშვათ, ბატონო, ერთი წუთით, მიყვარს და... ჩემო კარგო, გწამდეს, თუ დატკბები ერთგზის ჩემთა ოცნებათა ჩუმი საუფლოთი... და თუ... მოიცა... თუკი სიახლოვის მოგედება ცეცხლი და ამ სიახლოვეს შესვამ როგორც ლოთი... ბიჭოს, რაღაც გამოდის, ხომ იცი!..

წამოვვარდი და მაგიდას მივუჯექი. ბიჭებს ტკბილად ეძინათ.

●

ათიოდე დღე გავიდა. საგაზაფხულო ჩათვლების დრო ახლოვდებოდა. დღედაღამ თავაუღებლად ვმუშაობდი, მოცემულობებს ვხაზავდი, სემინარებს ვამზადებდი. თვალები დასიებული მქონდა, ხელები — სხვადასხვა ფერის ტუშით თურქმენულ ხალიჩასავით აჭრელებული. ოთარს ერთხელ კი ვკითხე, რა ჰქენი-მეთქი. ჯერ არ გამიგზავნიაო, მზერა ამარიდა, — ვერ გამიბედნიაო, — მხრები აიჩეჩა და ცას გაუშტერა თვალი.

მე ხელი ჩავიქნიე და ვუსაყვედურე, ტყუილად რას მაწვალე მთელი ღამე რად მატეხინე, თეთრად რაღას გამათენებინე-მეთქი.

●

უკანასკნელი გამოცდა ჩავაბარე. თოკი მომეხსნა კისერში.

დაბარებულივით შემომხვდა ბაღის შესასვლელთან ლია. შევხედე და მეუცნაურა — ციმციმა თვალებში ფიქრი და სევდა ჩასდგომოდა. უწინდებურად ლაღად და ხალისიანად როდილა შემეგება, ეჭვიანი, გამომცდელი მზერა შემავლო, არც ლოყაზე უკოცნია, თუმცა მთელი საუკუნე — მთელი ერთი კვირა იყო გასული, რაც არ მენახა.

— რა მოხდა, რა მოგივიდა, გოგო? — შეშფოთებულმა ვკითხე. — რა ფერმიხდილი ხარ!

გაკვირვებულმა შემომხედა (მართლა გაუკვირდა თუ გაითამაშა?).

— მეტყობა რამე?

— აბა არა?!

— ეჰ, რა ვიცი. გცალია, ნოდარ? აგერ ბაღში შევიდეთ რამდენიმე წუთით. რაღაც უნდა გიამბო. საინტერესოა.

ბედად, თავისუფალი სკამი ადვილად ვიპოვეთ. სკამი თელების ჩრდილში იდგა. ჩვენს წინ, ვარდისფერ ბილიკზე, პაწიები თამაშობდნენ. დედები და ბებიები მოპირდაპირე სკამზე ისხდნენ და მასლაათობდნენ.

— გისმენ, ლია. თვალებად და ყურებად ვარ ქცეული.

— რა არის, იცი? ...ბარათი მივიღე.

— ვისგან?

— არ ვიცი!

— რა, ანონიმურია?

— ჰო, მაგრამ ეს როდია მთავარი. მთავარი ისაა, რომ ლექსადაა დაწერილი.

აქამდე ბავშვებს უყურებდა. ეს რომ თქვა, სწრაფი მზერით ირიბად ამომხედა.

ჩავფიქრდი.

— არავისზე ეჭვობ?

— აბა რა ვთქვა... შენც კარგად იცი, ვინ წერს ლექსებს ჩვენს კურსზე... ისე, ერთ ყმაწვილზე კი მაქვს ეჭვი...

— იქნებ, შენ რომ გგონია, ის არ არის... რამდენი ვინმე წერს ლექსებს ჩუმ-ჩუმად...

— რა ვიცი, რა ვიცი...

— მოიცა, მოიცა... — უცებ თავში ერთმა აზრმა გაკვესა. — ასეთი რამ ხომ არ სწერია იმ ბარათში:

ჩემი მღელვარება თუკი შეიწამე
და ჩემს საუფლოში, ჩემდა გასახარად,
თუნდაც მხოლოდ ერთხელ გაათიე ღამე...

ლიამ მკლავში ხელი წამავლო, თვალები აუციმციმდა და... დაასრულა:

თუკი თუნდაც ერთხელ სიყვარულით დაგწვი,
თუკი ერთხელ მოვკალ შენი სიმარტოვე, —
ვერასოდეს, ვერსად ვერავისზე გამცვლი!
ვერასოდეს, ვერსად ველარ მიმატოვებ!

— ისაა! — ამოვიოხრე და ერთიანად მოვეშვი, მკლავები მომიდუნდა, ოფლმა დამასხა. — ისაა... მე დავწერე...

— შენ დაწერე? მაშ, ეს შენ იყავი, ნოდარ? ღმერთო, რამდენი ვიფიქრე, რამდენი ვიმტვრიე თავი! კი მაგრამ, სახუმარო სხვა ვერაფერი გამონახე, ბიჭო? ვისზე აღარ მივიტანე ეჭვი! ბოლოს შენზეც კი ვიფიქრე, წარმოგიდგენია? შენზე!

„ამიტომაც მიყურებდი წეღან ისე ეჭვით და გამომცდელად!“ შენზეც კი ვიფიქრეო...

ვინ იცის, ცოტა მეტი სითბო რომ მეგრძნო მის სიტყვებში, სულ პაწია ალერსი და დაყვავება რომ მეგრძნო, იქნებ... იქნებ გამებედა და მეთქვა: ჰო, ლია, მე მოგწერე-მეთქი, და მაშინ... მაშინ ვინ იცის...

„მაგრამ ოთარი?!“.

— არა, ლია, არა, ეს ლექსი მე არ გამომიგზავნია შენთვის... გაუკვირდა:

— წელან არა თქვი?

— მე გითხარი, ჩემი დაწერილია-მეთქი. გამოგზავნით კი, მე არ გამომიგზავნია... ერთმა კარგმა ბიჭმა მთხოვა და ვერ გავაწბილე. თანაც, რას მოვიფიქრებდი, რომ შენთვის უნდოდა...

„მაგრამ შენზეა ის ლექსი დაწერილი, ლია!“ — ვიყვირე გულში.

დიდრონი თვალები კიდევ უფრო გაუფართოვდა. თითოეულ მათგანში საოცრად მკაფიოდ ვხედავდი ჩემს გამოსახულებას.

შემეცოდა. სიტყვა გავტეხე და ყველაფერი ვუამბე.

ლაწვებზე ალი შეენთო, სახეზე ხელისგულები აიფარა.

— სულელი! — მოსწყდა ათრთოლებულ, გაბუტულ ბაგეებს. — სულელი! ხელები ჩამოიღო და შემომხედა. თვალები აწყლიანებოდა. — არა, შენ კი არა, ნოდარ! შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ, ჩემი ოქრო ძამია ხარ! გმადლობ, ნოდარ! — წამით ლოყაზე მომეკრა, მა[illegible] და პეპელასავით გაფრთხიალდა ბაღიდან.

უკან არც კი მოუხედავს.

●

ნელი, ათრეული ნაბიჯით მივყვებოდი პროსპექტს. ტროტუარის ქვის ფილებზე მზეგარეული ხატულა ჩრდილები ირხეოდა, ნელი სიო ქროდა და ჭადრის ფოთლებს ოდნავ შესამჩნევად ათრთოლებდა. არ ვიცი, ეს მახვევდა თავბრუს, თუ იმის შეგნება, რომ ვიღაცას სიხარული ვაჩუქე, საუკუნოდ გავაბედნიერე. მაგრამ არ დავმალავ: იმასაც ვგრძნობდი, რაღაც ძვირფასი, ძალზე ლამაზი რომ დავკარგე... თუმცა კი საკუთარ თავსაც არ ვუტყდებოდი, რა იყო ეს.

# ოქროსფერი რთველი

დ. იაკობაშვილის ფოტოები





...როგორ ჩაზრდია მიწას ის მადლიანი. ისე განივრად გაუშლია ტოტები, თითქოს მთელი მიდამოს ჩაკვრას აპირებსო უბერებელ გულში. უბერებელი — სიტყვისთვის არ მითქვამს — არავინ იცის, რამდენი წელი ჩამომარცვლა ამ ევკალიპტმა. აქაურებს რაც თავი ახსოვთ, აქა დგას ერთგული დარაჯივით. დგას და დაბერებას არც აპირებს.

კიდევ ერთხელ შევავლე თვალი გულრიფშის ილიჩის სახელობის ციტრუსების საბოთა მეურნეობის პატარა დასახლებას და დირექციის შენობისკენ გავემართე. მეურნეობის მთავარ აგრონომს აკაკი გულუას დრო სადა აქვს! ახლა მითუმეტეს, როცა ალოობის შედეგს იმკის. ჟამი ბრძანებლობს მოსავლის მითვლისა...

ბატონი აკაკი საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ დამსახურებული აგრონომია, ორგზის შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი, სამ ათეულ წელზე მეტია მეურნეობაში ილვწის და მასზე უკეთ ვის შეუძლია აქაურობის ფერისცვალებაზე ლაპარაკი.

— ძალიან ვიზარდეთ, ვიმატეთ, — ხმამაღალი ფიქრივით გამოუდის ბატონ აკაკის, — 1921 წლის 4 მარტს გასაბჭოვდა აფხაზეთი, ორიოდ კვირაში, 12 აპრილს კი ჩვენი მეურნეობა იშვა. მალე სამოცდაათი წლისა გახდება, გაძლიერდა და გამდიდრდა ამ ხნის მანძილზე...

რამდენი რამ მოჩანს წლების გადასახედიდან, უბრალო შედარებაც

მრავლისმთქმელია: თუ 50-იან წლებში მეურნეობაში — 300-500 ტონა ციტრუსი იკრიფებოდა, ახლა 3000 ტონამდე ოქროსფერ ნაყოფს აბარებენ.

მეურნეობის „სადარბაზო ბარათი" ციტრუსებია, — მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, გრეიპფრუტი. მათ კი განსაკუთრებული მოვლა სჭირდება, სითბოს მოითხოვენ ბუნებისაგანაც, ადამიანებისაგანაც.

1986 წელს საშუალოდ 16 ტონა ციტრუსი მივიღეთ ჰექტარიდან, — ამბობს ა. გულუა, — შარშან კიდევ უფრო გავზარდეთ მოსავლიანობა.

ილიჩელებს არ სჩვევიათ ტყუილი, ამიტომაც ფიცივით დაეჯერება მათ სიტყვას. მეურნეობაში, მართალია არ არის ჰექტრების გაზრდის საშუალება (სულ 208 ჰექტარი უჭირავს ციტრუსს. აქედან 188— მანდარინს, 10 — ლიმონს, 10-ზე ფორთოხალი და გრეიპფრუტია), მაგრამ ვარაუდობენ საჰექტარო მოსავლიანობის გაზრდას. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ლიმონს. 6 ჰექტარზე აგებულია კაპიტალური კარკასები, 1,8 ჰექტარზე პლანტაციებს გაზით გაათბობენ. ეს წლეულს პირველად განხორციელდება და საგრძნობლად გადიდდება მოსავლიანობა. ილიჩელები ცდილობენ 7-8 ტონიდან 10-15 ტონამდე გაზარდონ ლიმონის საჰექტარო მოსავლიანობა.

ყველა საქმის სულისჩამდგმელი ადამიანია, რომელიც გულიანად მიუდგება გასაკეთებელს, თავს არ დაზოგავს და მისაღწევს მიაღწევს. ამგვარი ადამიანების დასახელება არ უჭირთ მეურნეობაში: ზაურ ჭეჟია, ალექსანდრა ავიყა, გურგენ ნერსესიანი, მარო მიქაელიანი, ასიდა ხაშიგი...

შრომის ვეტერანებიც ძველებურად აქტიურობენ. გიორგი კუხიანიძე რა ხანია მთავარ ეკონომისტად მუშაობს, ყველაზე უკეთ იცის საერთო კაპიკის ყადრი და მომჭირნეობასა და ყაირათიანობას აჩვევს სხვებსაც... ნინა ივანოვა, მარია სერგუნინა, ოლია კოლპაკოვა პენსიონერები არიან, მაგრამ მაინც ვერ ელევიან მშობლიურ კოლექტივს, ყოველ ალოობას მოუთმენლად ელიან, რომ კვლავ გავიდნენ პლანტაციებში და მოესიყვარულონ ოქროსფერი ნაყოფით დახუნძლულ ხეებს, ასე იყო ციტრუსის კრეფის გასულ სეზონზეც.

მეურნეობაში ერთხელ მოსულს არ ეთმობა აქაურობა, ზრუნვასა და თანადგომას გრძნობენ და იმიტომ. ორიოდე წლის წინათ აქ ერთი საიჯარო ბრიგადა იყო, რომელსაც მაშინ ვარლამ კვირტია ხელმძღვანელობდა. შარშან ექვსივე ბრიგადა იჯარაზე გადავიდა. დიდად გაიზარდა ანაზღაურებაც. თუ ადრე თვეში 200-250 მანეთს იღებდა მუშა, შარშან საშუალო ხელფასმა 350 მანეთს მიაღწია, ზოგიერთ ბრიგადაში კი — 500 მანეთსაც.

იმატა მეურნეობის ეკონომიკურმა შემოსავალმა. მარტო 1986 წელს მილიონ 200 ათასი მანეთი მიიღეს სუფთა მოგების სახით. ეს თანხები მუშების კეთილდღეობას ხმარდება. ყველა ოჯახს აქვს საკუთარი ჭერი, მაგრამ კიდევ არის ახალმშენებლობები, ჩაყრილია 180-ბინიანი საცხოვრებელი სახლის საძირკველი, შენდება 54-ბინიანი სახლი და საერთო საცხოვრებელი სეზონური მუშებისათვის.

მეურნეობის მუშებს თითქმის ყველაფერი თავიანთი აქვთ — 300-ადგილიანი კლუბი, სტადიონი, საბავშვო კომბინატი, მუშათა სასადილო... სხვათაშორის, მათ, ძირითადად, მეურნეობაში მოწეული პროდუქტებით ამარაგებენ — ბოსტნეულით, ხილით, თაფლით, რძითა და ხორცით... აქაური მეცხოველეობის ფერმა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. მწველავი, რაისაბჭოს დეპუტატი სვეტლანა გოლოვინოვა „300-ათასიანელთა კლუბის" წევრია. შარშან აქ ერთი ფურიდან 3400 კილოგრამი რძე ჩამოწველეს და წლეულს მეტის მიღებას აპირებენ.

მთავარი მაინც — ციტრუსების კრეფაა. რა ხანია ჩათავდა ოქროსფერი რთველი. ძველებური სიყვარულით წარმართეს საქმე. ილიჩელებმა თბილისობისთვის 10 ტონა მანდარინი დაკრიფეს, საშვიდნოემბროდ კი 400 ტონა გააგზავნეს მოსკოვში... აქაურ მანდარინს უნგრეთშიც სიამოვნებით მიირთმევენ. 1500 ტონა ციტრუსი მიიღეს უნგრელებმა. ეს ურთიერთობა მეტად ხელსაყრელია.

ბევრის თქმა შეიძლება მეურნეობაზე, მის ადამიანებზე, რომლებსაც პრობლემები კვლავ ბევრი აქვთ. ყველაფერი დაძაბულ შრომას მოითხოვს, მზამზარეულად არაფერი მოდის, მაგრამ არაფრისა ეშინიათ, ძლიერები არიან მეგობრობითაც. აქ ხომ გვერდიგვერდ ცხოვრობენ და შრომობენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებიც.

**ლალი შენგელია,**
გულრიფშის რაიონულ გაზეთ „დროშის" კორესპონდენტი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენ ქართველი ხარ, პლასტუნკელო!

მეგონა სულ სხვანაირს ვნახავდი პლასტუნკას, ისეთს, როგორიც ამ ორი ათეული წლის წინათ იყო, და რომელზეც ვრცელი ნარკვევი დავბეჭდე ახალდაარსებულ ქალთა ჟურნალში. პირველი ნაცნობობა ამ სოფელთან ასე დაიწყო: სკოლის ხის შენობას ჩავუარე თუ არა, მოქანავე ბეწვის ხიდზე ძლივ-ძლივს გადავედი და პატარა კლუბთან შევჩერდი, საიდანაც ვიწრო კარებში დოლის ხმასთან ერთად ცეკვის მასწავლებლის შეძახილი შემომესმა: „აბა, ჰე, დავიწყოთ".

იმ დღიდან ახლობლად ვიწამე ყველანი, ვინც იქ ვნახე და გადავწყვიტე კიდევ ბევრჯერ მივსულიყავი მათ სანახავად. მაგრამ ეს სურვილი რატომღაც ყოველთვის გადაიდო და მეგონა პლასტუნკაში ყველაფერი ისევე გრძელდებოდა, როგორც დავტოვე: ისევ ისე მხნე და შემართული იქნებოდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვანო უჩაძე, სოფლის თავკაცი, ბავშვივით რომ უხაროდა თავიანთი ვაშლის ბაღებს რომ ალტაცებაში მოვყავდი, ისევ ჩვილით ხელში შემომეგებებოდა მისი ლამაზი ცოლი ლიდა, ოთხმოცი წლის დედა მაკრინე კი ისევ შემოდგამდა შუაცეცხლზე ღომს და ახალამოყვანილ ყველს ჩამოგვირიგებდა...

მეგონა ისევ გამაცილებდნენ სოჭის ნავსადგურში და ლამპიონებით გაჩახჩახებულ, ლუზააშვებულ გემის ბაქნიდან ისევ დავუქნევდი ხელს ჩემს პლასტუნკელებს, თანაც კვლავ ძლივს გავიგონებდი მათ ხმას: „ნახვამდის, გელით".

და აი, შარშან, ზაფხულში პლასტუნკაში შვილს გავყევი, როცა თბილისის გ. ტაბიძის სახელობის 51-ე საშუალო სკოლის მე-8-ბ კლასის მოსწავლეები დამრიგებლის, მაყვალა კანკავას თაოსნობით იქაურობის მოსანახულებლად გაემგზავრნენ. ისინი პლასტუნკის შესახებ საქართველოს ტელევიზიის გადაცემას გამოეხმაურნენ და თანატოლების გაცნობა, მათთან დამეგობრება გადაწყვიტეს.

პლასტუნკა შეცვლილი დამიხვდა.



პლასტუნკელი მოსწავლეები თბილისში

ბეწვის ხიდის ადგილზე ახალი კაპიტალური ხიდი აეგოთ. იქაურობა ორსართულიან ხასტუმროს და მშვენიერ კულტურის სახლს დაემშვენებინა. დაუვიწყარი ვაშლის ბაღები კი გაეჩეხათ და გული დამწყდა. ვანო უჩაძე უდროოდ გარდაცვლილიყო. ქართული სკოლა რუსულ რვაწლედად გადაკეთებულიყო და სოჭის კოსტინსკის რაიონის მე-4 რვაწლიანი სკოლა დაერქმიათ, რომლის დირექტორიც ლუბა კუპინა გახლავთ. აქაური მოსწავლეები ქართულ ენასა და ლიტერატურას, როგორც ერთ-ერთ საგანს, ისე გადიან.

თავი სკოლის ეზოში მოვიყარეთ. მერვეკლასელი პლასტუნკელები პატაკითა და ყვავილებით დაგვიხვდნენ. ისინი იმ დღეს სკოლას ეთხოვებოდნენ, სამომავლო გზებს ირჩევდნენ, ახალგაცნობილ სტუმრებს თავიანთ ფიქრებს უზიარებდნენ. იქ შევხვდი პლასტუნკის ყოფილი ქართული სკოლის დირექტორს, ამჟამად პენსიონერს ვერა ფრუიძეს, პენსიონერ მასწავლებელს თამარ ჩხეტიანს. ისინი ჩვენს დასახვედრად მოსულიყვნენ.

თბილისელმა მოსწავლეებმა პლასტუნკელებს საჩუქრად საუკეთესო ქართული წიგნები ჩაუტანეს. სტუმრად მთელი დღე დავრჩით. გაჩაღდა მხატვრული თვითმოქმედება. სტუმარ-მასპინძლები თავიანთი ხელოვნების წარმოჩენაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

...შარაზე თოხგადებულმა ბერიკაცებმა ჩაიარეს და „სალამო მშვიდობისა" გვისურვეს. მზე მთის უკან მიიმალა. ბინდი ნელ-ნელა მოიპარა და გამგზავრება შეგვახსენა. ბავშვებს მასპინძლებთან განშორება ეძნელებოდათ, აღელვებულები ავტობუსში მოთავსდნენ და მანქანა რომ დაიძრა, მათი დაგუბებული გრძნობა გადმოიღვარა: მღეროდნენ, ლექსებს ამბობდნენ, იმ სიტყვებს იმეორებდნენ, მასპინძლებისათვის რომ გაიმეტეს. ვეღარ ჩერდებოდნენ. ამდენ განცდილსა და ნაფიქრალს ხომ გზა უნდოდა! გაოცებული შესცქეროდნენ დამრიგებელი მაყვალა კანკავა, მათემატიკის მასწავლებელი დიანა სანიკიძე, მუსიკის მასწავლებელი ლია თავართქილაძე თავიანთ მოსწავლეებს, რომლებიც იმ დღეს ძალიან საყვარლები და ახლობლები გამხდარიყვნენ.

...საპასუხო ვიზიტმა არ დააგვიანა. პლასტუნკელი პედაგოგები და მოსწავლეები დიდი ილიას იუბილეს და თბილისობას დაესწრნენ. პატივცემულმა მაყვალა კანკავამ მათი მიღება-გაცილება ორგანიზებულად ჩაატარა. რა თქმა უნდა, მას გვერდში ედგნენ სკოლის დირექტორი ინეზა იამანიძე, პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები. თბილისელთა გულთბილმა დახვედრამ, და-ძმურმა ყურადღებამ და პატივისცემამ ისე მოხიბლა ჩვენი სტუმრები, რომ წასვლისას კიდეც ინატრეს „ნეტა, თბილისში ვცხოვრობდეთო".

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ორი სკოლის მეგობრობა კვლავ გაგრძელდება. გავა დრო, დღევანდელი მოსწავლეები მოქალაქეები გახდებიან. ისინი ალბათ კვლავ მოინახულებენ ერთმანეთს. თბილისელების ჩასვლა კი ყოველთვის მოაგონებს საქართველოს საზღვრისგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს, რომ ისინი ქართველები არიან.

**ლია კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორის ფოცხიშვილი

## მიძღვნა

უმშვენიერესს მშვენიერთა შორის მარადის!
რომლის ბადალი ქვეყნად ალბათ არვინ არ დადის,
ვით ფიცი მიწყივ ერთგულების, არა ღალატის,
სამარის ჩემის უკიდურეს კარის კარამდის.

ეს ლექსი, ანუ აღსარება სულის მღაღადის
„ან სიყვარული, ან სიკვდილი!“ — ვითვლი სამამდის!
წუთისოფელი, სამწუხაროდ თურმე წამად დის...
უმშვენიერეს მშვენიერთა შორის მარადის!

## ნისლოვანი ცით...

ნისლოვან ცით თვალს ვისველებ,
ბალახივით გიწვდი სოველ სტრიქონებს, —
გახსენებით გამიხსენებ,
მაგრამ ვერ მომიგონებ.

მარტო დგახარ, როგორც ოლე,
წელზე გახვევ მკლავებს, როგორც მხვიარებს, —
მოწონებით მომიწონებ,
მაგრამ ვერ შემიყვარებ.

წლებს, ვით ყრუმუნჯ როსინანტებს,
ძრავს ეპოქის სიყრუე, —
მონატრებით მომინატრებ,
მაგრამ ვერ დამიბრუნებ.

ვიცი, გაიყრება გზები,
დაცხრებიან ფიფქოვანი ფარდები, —
გაგიუდებით, გავგიუდები
და ვერ დავჭკვიანდები.

ვიცი მიტირებენ მთები,
მერე მზემდე ამზიდავენ ოცნებით, —
ვარსკვლავებში მოგიკვდები,
ლექსში გაგიცოცხლდები!

## გწამდა, გჯეროდა, გიხაროდა

სიცოცხლე, როგორც ლურჯი კაბარე,
არც რა გქონია ალბათ სხვა ცოდვა,
ო, სიჭაბუკევ,
ვინ რას გაბრალებს,
გწამდა, გჯეროდა და გიხაროდა!
შენს სიძაბუნეს
დღემდე მე ვერ ვგრძნობ,
სინათლესავით შენ ხარ დღეგრძელი,
ო, სიყვარულო, შენ რა შეგეძლო,
სასწაულია შენ რაც შესძელი!
მაგრამ რა ვუყო ახლა ამ თვალებს,
ამ დავიწყებულ თავდავიწყებას, —
ო, სიცოცხლეო, ვინ რას გავალებს,
ვკვდები და შენი ვალი მიმყვება!

## ბავშვებს გაუმარჯოს, ბავშვებს!

ბევრგზის შეგვძრა ბავშვის დარდმა,
სანთლით ვეძებთ სახსარ-საშველს, —
ბავშვი ყველგან ბავშვია და
გაუმარჯოს ქვეყნად ბავშვებს!

ცრუ საწუთროს როგორ ვენდოთ,
უბავშვობა ერებს დაშლის, —
ყველაფერი წავა ერთ დროს,
მთავარია, დარჩეს ბავშვი!

დრო იმღვრევა, გული მტკივა,
ვატყობ, რაღაც უნდა დაშრეს, —
დრო რა სახსენებელია,
ბავშვებს მივეშველოთ, ბავშვებს!

აკვნებს არ თმობს იბერია,
ცრემლი უდგას თვალში გამჩენს, —
თუ დაღუპვა გვიწერია,
ღმერთი ბავშვებს გადაარჩენს!

რწმენაა და იმედია,
არც არვისგან ვითხოვთ მაშველს, —
ქართველები იზრდებიან,
ვენაცვალე ქართველ ბავშვებს!

## ანბანური

ლექსს აღმაფრენა უხდება,
გაბედულს გამბედაობა,
ის, ვინც არც ვისთან დაობდა,
დაჭაობდა და დაობდა.

მარტო ვარ, იქნებ ინებო
აწ ჩემთან ერთად მგზავრობა, —
არ გკითხავ, ისე გაკოცებ,
არც მინდა შენი თანხმობა!

## დამჭკნარი ფოთლები

ყველა ხეხილი ჭკნება,
ქრება ოცნება გულში, —
მკვდარი ფოთლების ფრენას
ხელს აღარავინ უშლის.

ქარი უნაზეს რიდით
ფოთლის წუხილით მავსებს, —
ფოთოლცვენაა დიდი
ჩემი ცხოვრების გზაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულისტკივილი მომხმარებლიდან იწყება

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაახლოებით 35-45 პროცენტით განახლდა პროდუქციის ასორტიმენტი, მაგრამ საწარმოთა ზოგიერთი სახეობის საქონელს იწუნებს მომხმარებელი, მიზეზად თვლიან „მუშაობის ძველი მეთოდებისადმი ერთგულებას", რაც ხელს უშლის გარდაქმნას. ასორტიმენტის, ხარისხის გაუმჯობესება პირდაპირ დამოკიდებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე. გადაჭრით შეცვლას მოითხოვს მიმწოდებლისა და მომხმარებლის ურთიერთობა.

გარკვეული დადებითი ძვრების მიუხედავად მომხმარებელი კვლავ უკმაყოფილოა სავაჭრო ორგანიზაციებში შეძენილი საქონლით.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციამ „მრგვალ მაგიდასთან" მოიწვია რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ზოგიერთი ხელმძღვანელი, თბილისის ცენტრალური უნივერმაღის დირექტორი და სხვა წარმომადგენლები. გაიმართა სჯა-ბაასი, თუ რა უშლით ხელს მუშაობაში, რომ მიაღწიონ უკეთეს მაჩვენებლებს, მადლიერი ჰყავდეთ მომხმარებელი. უფრო კონკრეტულად: თანამედროვე ქალს, რომელსაც თბილისის ცენტრალურ უნივერმაღში სურს შეიძინოს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, შეიმოსოს გემოვნებით, როგორ უმასპინძლებს ჩვენი უნივერმაღი, შეასრულებს მის მოთხოვნას და მიანიჭებს კმაყოფილებას?

საუბარი აქედან დაიწყო.



ასეთ ნაწარმს უშვებენ ჩვენი საწარმოები

**მარიკა ბარათაშვილი:**

რედაქციამ მრგვალ მაგიდასთან მოგიწვიათ მსუბუქი მრეწველობისა და ვაჭრობის მუშაკები, რათა დავსახოთ ღონისძიებები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებებიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ქალებს, ბავშვებს და საერთოდ, მთელ ჩვენს მოსახლეობას შეექმნას შრომის, სწავლისა და დასვენების ნორმალური პირობები. თუ ადამიანს კარგად არ აცვია, მაღაზიაში თავისი მოსაწონი ფეხსაცმელი და ტანსაცმელი ვერ შეუძენია, რომელ კეთილდღეობაზე შეიძლება ლაპარაკი!

ამრიგად, ჩვენ გვსურს თქვენთან საუბარი იმ სოციალურ პრობლემებზე, რომლებიც თქვენი დარგებიდან მომდინარეობს და რომელთა საკმაო დიდი ნაწილი უახლოეს ხანში გვაქვს გადასაწყვეტი, იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც თქვენი დარგის მუშაობას ჯერ კიდევ თან ახლავს.

მაგალითების დასახელება ბევრის შეიძლება. მე ამით თავს არ შეგაწყენთ, მოვიყვან ერთ მათგანს: თბილისის ცენტრალურ უნივერმაღში შევიძინე ბათუმის საშკერვალო ფაბრიკის ნახელავი ზაფხულის ხალათი. ხალათი მეორე დღესვე დაიხა იმ ადგილებში, სადაც ღილები იკვრება. ეს ერთი მაგალითია იმ მრავალთაგან, რომლებსაც მომხმარებელი დაგისახელებდათ. გვაინტერესებს

ვაჭრობის დარგის მუშაკების აზრიც პროდუქციის თაობაზე, მათი საქმიანობის ავკარგი და პერსპექტივები.



**სულიკო კერესელიძე — თბილისის ცენტრალური უნივერმაღის დირექტორი:** მომხმარებელი მოდის ჩვენთან, რათა იყიდოს გემოვნებით შეკერილი, მისთვის სასურველი ზომის ფეხსაცმელი და ტანსაცმელი. მას კი ვმასპინძლობთ შეზღუდული ასორტიმენტით. მაგალითად, ზამთრის სეზონის ტანსაცმლის და ფეხსაცმლის შესაძენად მოსულს დახლებზე ხვდება ზაფხულის ან სხვა სეზონის საქონელი.

ფეხსაცმლის ან კაბის შეძენა ყოველთვის პრობლემაა, განსაკუთრებით ხანდაზმულთათვის. ზაფხულში მივიღეთ კაბების მცირე წყება და ისიც ერთიდაიგივე ზომისა. 52-54 ზომები კი საერთოდ არა გვაქვს.

უნივერმაღს აქვს თითქმის ყველა ქვეყნის მოდების ჟურნალი, იქ არის ნაირსახეობის მოდელები, ასე, მაგალითად, რით უნდა იაროს ქალმა სამსახურში, თეატრში და ა. შ. ჩვენ ამის მიხედვით დავუკვეთეთ მოდელები გლდანის საწარმოო გაერთიანებას და პროდუქციაც შევარჩიეთ. ვერ ვიტყვით, რომ მრეწველობამ პროდუქციის ხარისხი არ გააუმჯობესა, მაგრამ ეს კიდევ არ არის საკმარისი.

ზაფხული ისე ჩათავდა, მოსწავლე გოგონების 46-48 ზომის კაბები ვერ მივიღეთ, ბიჭუნების 28-30 ზომის პერანგები უნივერმაღის დეფიციტია. საერთოდ, მოზარდი ახალგაზრდობისათვის არა გვაქვს ბევრი დასახელების პროდუქცია, განსაკუთრებით ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სახით. გაყიდვაში თითქმის არ არის ბიჭების ფეხსაცმელი 32-დან 38 ზომამდე.

ზოგის აზრით, მოსახლეობა არ იძენს თბილისის საწარმოების მიერ დამზადებულ პროდუქციას. მაგრამ, როდესაც გაყიდვაში მივიღეთ ორჯონიკიძის სახელობის ფაბრიკის ნაწარმი ქალის ნახევარპალტოები, მათზე დიდი რიგი დადგა.

ვაჭრობამ საწარმოებისაგან ყველა ზომის საქონელი უნდა მიიღოს. ჩვენ არ ვლაპარაკობთ, რომ ნინო რიჩისა და ბურდას მოდელების დონეზე იქნება ეს ნაწარმი, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში მომხმარებლის მოთხოვნას დააკმაყოფილებს. ვერ მივაღწიეთ ვერც იმას, რომ მომავალი დედებისათვის საჭირო შეკერილი კაბები გვქონდეს ვაჭრობაში გასაყიდად. განა ასე ძნელია ამ მოდელის შეძენა?

არა გვაქვს არავითარი შესაძლებლობა, რომ ხანდაზმულ ქალებს მუქი ფერის ტანსაცმელი მივაწოდოთ. ერთხელ მივიღეთ ხავერდის პალტოები მოდური საყელოთი, რომელმაც მომხმარებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა და საქონელიც ჩქარა გაიყიდა.

თქვენ ვერ ნახავთ, საშუალო ასაკის ქალებისათვის შესაფერის ფეხსაცმელს ჩვენს უნივერმაღში, არის მხოლოდ მაღალი ქუსლით. სხვადასხვა მოდელის ტუფლი კი საშუალო და დაბალი ქუსლით საერთოდ იშვიათობაა.



**ლუარა გვაჯაია — თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის" დირექტორი:** პროდუქციის ხარისხი დღეს უმთავრესი პრობლემაა მსუბუქი მრეწველობის საწარმოთათვის.

ახალი სამეურნეო მექანიზმის ძირეული გარდაქმნა სწორედ ამ მიზანს, ხალხისათვის საჭირო მაღალხარისხოვანი საქონლის გამოშვებას ითვალისწინებს, ამიტომ თვით მექანიზმში გათვალისწინებულია მოთხოვნები, რომლებიც წარმოებას აიძულებს წარმართოს თავისი საქმიანობა დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების აღსაკვეთად. უკან დაბრუნებული პროდუქციის ყოველ 1 პროცენტზე მატერიალური წახალისების გეგმიური ფონდი მცირდება 5 პროცენტით, ასევე მცირდება ფონდი ამ ტანსაცმლის გასწორებაზე დამატებით გაწეული ხარჯებისა და ჯარიმების მიხედვით. შარშან ამ მიზეზით საწარმოს ეს ფონდი 20 პროცენტით შეუმცირდა. ასე რომ, თუ ადრე დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით ძირითადად მომხმარებელი და სახელმწიფო ზარალდებოდა, ახალი პირობებით ამ ზარალს პროდუქციის გამომშვები კოლექტივიც იგრძნობს.

ამასთან მიგვაჩნია, რომ გარდაქმნა უპირველესად კადრების კვალიფიკაციის ამაღლებით უნდა დავიწყოთ. უფრო მეტად უნდა გავაძლიეროთ მომთხოვნელობა და კონტროლი, რათა მივაღწიოთ თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობის ამაღლებას, რაც წლების მანძილზე ადამიანებში ნელ-ნელა დაქვეითდა. ისინი მიეჩვივნენ მოვალეობის უგულისყუროდ შესრულებას, რადგან ანაზღაურებას მაინც იღებდნენ. ყოველივე ამან სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა. სამწუხაროდ ყველა სფეროში გაგვაჩნია სერიოზული ნაკლოვანებანი. მაღალი ხარისხის პროდუქციას განაპირობებს მოწინავე ტექნიკა. ამ მხრივ კი დიდად ჩამოვრჩებით. 1988 წლიდან საწარმოში დაინერგება ახალი კომპლექსურ-მექანიზირებული ხაზი, რომელიც ძირითადად დაკომპლექტდება საზღვარგარეთული დანადგარებით.

დიდი სიძნელეებია იმპორტული დანადგარების სათადარიგო ნაწილებით მომარაგების საქმეში. ცუდად ვართ უზრუნველყოფილი დამხმარე მასალებით, ფურნიტურით. ძალზე დაბალია მარკირების და შეფუთვის ხარისხი.

**ს. კერესელიძე** — ზოგჯერ „ამირანიდან" კარგ ტანსაცმელს ვიღებთ, ეს მაშინ, როდესაც მცირე პარტიებად ამზადებენ.

**ლ. გვაჯაია** — იმიტომ, რომ დიდ პარტიებად გამოშვებული საქონელი თავის ღირსებას უკარგავს ამ ნაწარმს.

**ს. კერესელიძე** — ჩვენს საწარმოებში ბევრი დრო იკარგება ახალი მოდების შერჩევაზე. ამ საქმეში დროის დაკარგვა კი ნიშნავს, რომ ის ქსოვილი, რომელიც დღეს მოდურია, ერთი წლის დაგვიანებით თუ შეიკერება, მომხმარებელს აღარ უნდა.



**ივერი კავსაძე — თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი, მსუბუქი მრეწველობის დამსახურებული მუშაკი:** მომხმარებლის მოთხოვ-

გაგრძელება მე-13 გვ-ზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



მ. ბერძენიშვილი. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

ნოდარ დუმბაძის სახელობის პიონერული ქალაქი „მზიური“



რკინიგზის სადგურის შენობა



რკინიგზის სადგურის მოსაცდელი დარბაზი



რკინიგზის სადგურის რესტორანი

ჩანართის შიდა და გარე გვერდებზე
დ. იაკობაშვილის და რ. ლალი[illegible]ის ფოტოები



რკინიგზის სადგურის ბავშვთა ოთახი




კოოპერატივი „თელეთი“

# საახალწლო საჩუქარი თბილის ქალაქს





აბანოთუბანი





აბ ბერძენიშვილი   ნოდარ დუმბაძე

ნოდარ დუმბაძის სახელობის
მოისყრული ქალაქი „მზიური"





ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა სახალხო მოხმარების საქონლის განახლებულ ასორტიმენტზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. რთული პრობლემების გადაწყვეტა შეიძლება, თუ ჩვენ, წარმოებისა და ვაჭრობის დარგის მუშაკები ერთობლივად ვიმუშავებთ. აუცილებელია კონტაქტების გაძლიერება. წარმოების მუშაკები საქმის კურსში უნდა ვიყოთ, მოიწონა მომხმარებელმა ჩვენი პროდუქცია, თუ ჩაწვა სავაჭრო ქსელში.

პრეტენზიები გვაქვს საფეიქრო დარგის მუშაკებთან. ზოგჯერ ისეთი უხარისხო ნედლეულია, რომ მისგან თითქმის შეუძლებელია კარგი ხარისხის პროდუქციის მიღება, რის გამოც იგი საწყობებში დევს და გასაღება არ უწერია. ამ ბოლო დროს ჩვენი პროდუქციის ხარისხი შედარებით გაუმჯობესდა და თუ წინათ ჩამორჩენილთა რიგებში ვიყავით, ახლა მოწინავე საწარმოთა შორის ვართ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ საკმარისი არ არის.

მართალია, მთავარია ტანსაცმელი ჩვენმა მუშებმა კარგად შეკერონ, მაგრამ პროდუქციის სათანადო მარკირება და გემოვნებით შეფუთვაც აუცილებელია.

უნგრელი სპეციალისტები შეუდგნენ ჩვენი საწარმოს გადაიარაღებას იმ ვარაუდით, რომ 1988 წლის ბოლოსათვის დაამთავრონ.

ამასთან აუცილებელია საწარმოს მუშაკებმა აიმაღლონ კვალიფიკაცია. ამჟამად 22 სპეციალისტი (მუშები, ინჟინერ-ტექნოლოგები, მოდელიორ-კონსტრუქტორები მივლინებული არიან უნგრეთში ერთი თვის ვადით კვალიფიკაციის ამაღლებისა და ურთიერთგამოცდილების გაზიარების მიზნით).

ამრიგად, მოსახლეობის და მითუმეტეს ქალთა საზოგადოების მოდური ტანსაცმლით უზრუნველყოფა ჩვენს კოლექტივს რთულ და საპატიო ამოცანებს უსახავს.

ეკონომიკის გარდაქმნის ცხოვრებაში განხორციელება ფაბრიკაში უკვე დაწყებულია. ყურადღება განსაკუთრებით გავამახვილეთ შრომის ნაყოფიერებასა და შრომის ანაზღაურების პრობლემებზე. დღეისათვის მიღწეულია შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ზრდა (20 პროცენტამდე) გასულ შესაბამის პერიოდთან შედარებით. შეიქმნა ხელფასის გაზრდის რეზერვები და გასული წლის 1 იანვრიდან ფაბრიკა შრომის ანაზღაურების ახალ სისტემაზე გადავიდა. მუშა-მოსამსახურეებს გაეზრდებათ ხელფასი საშუალოდ 20-25 პროცენტით.

კვლავ და კვლავ უპირველეს საზრუნავად რჩება გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაოები ხორციელდება. განახლდა ასორტიმენტი. საბოლოოდ, მოდელების დანერგვის განახლებამ 75 პროცენტი შეადგინა.

მაგრამ კოლექტივს ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა აქვს დასაძლევი, რის გადაწყვეტაც შეიძლება მხოლოდ ფაბრიკის რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტასთან ერთად გაუმჯობესდება კოლექტივის სოციალური პირობები.



ადონის ჭანტურია — **თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის" გენერალური დირექტორი:** გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე ყველა უნდა იყოს პასუხისმგებელი. ჩვენს კოლექტივში მრავალრიცხოვანი სპეციალისტი მუშაობს და თვით კოლექტივიც 4 ათას კაცს ითვლის. ეს დიდი არმიაა, ყველა მათგანი საწარმოო პროცესის უშუალო მონაწილეა. არსებობს ერთგვარი სტანდარტები, რომელთა მიხედვით უნდა მიმდინარეობდეს საქმიანობა. ჩვენთან ერთი მუშა კი არ კერავს ერთ წყვილ ფეხსაცმელს, არამედ — 150 კაცამდე. თითოეულმა, მცირე წვრილმანიც რომ დააკლოს საწარმოო პროცესს, წარმოიდგინეთ რა ხარისხის პროდუქციას მივიღებთ?

კარგი იქნება, თუ მრეწველობისა და ვაჭრობის დარგის მუშაკები ერთიანი ძალებით იმუშავებენ, რადგან ისინი ერთ ინტერესებს ემსახურებიან. მთავარი ფაქტორია მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება და მისი რეალიზაცია. რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში ყოველთვიურად ვმართავთ ბაზრობებს. ხელს გვიშლის ის ამბავი, რომ გამოსაშვები პროდუქციისათვის საჭიროა სათანადო ფურნიტური, რასაც ვიღებთ სხვადასხვა საწარმოებიდან, მაგრამ ხშირად ისინი თავის მოვალეობას არ ასრულებენ და ჩვენ უფურნიტუროდ ვკერავთ ფეხსაცმელს, რაც გარკვეულ ფარგლებში ამცირებს მის ხარისხს.

უკვე გადავედით თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების მეთოდით მუშაობაზე. მუშებიც გრძნობენ, რომ აქ უკვე მუშაობის სხვა მოთხოვნები წაეყენებათ. ამას წინათ ერთმა მუშამ მითხრა, აი ახლა დავთვრები და შენ მოგხსნიან სამსახურიდან, იმის გამო, რომ მე კარგად ვერ გამზარდეო. სამწუხაროდ, შევხვდებით ასეთ უპასუხისმგებლო შემთხვევას ჩვენს კოლექტივში.

საქმე იმაშია, რომ ჩვენი საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი დამოკიდებულია და იწყება მწყემსიდან, რომელიც საქონელს უვლის. ხორცკომბინატის შემდეგ ცუდი ხარისხის ტყავის დამზადებისათვის დამნაშავენი არიან ტყავის დამმუშავებელი საწარმოები. საბოლოოდ ისეთ ნედლეულს ვიღებთ, რომლისაგანაც კარგი პროდუქციის გამოშვება შეუძლებელია. თუ ტყავი უხარისხოა, მისგან კარგ ფეხსაცმელს ვერ შეკერავ, ასევე მნიშვნელობა აქვს ძაფს, რომლითაც იკერება ფეხსაცმელი. მომხმარებელი იწუნებს ფეხსაცმლის ფერს, რაც ტყავის დამუშავებაზეა დამოკიდებული. 32 პროცენტი საჩივრებისა სწორედ ფეხსაცმლის ცუდი ფერის გამო მოდის და დღემდე ეს პრობლემა ვერ გადაგვიწყვეტია.

ახლახან ჩვენი რესპუბლიკის ფეხსაცმლის საწარმოებმა მიიღეს იმპორტული წარმოების დანადგარები იტალიიდან; ზოგიერთ ასეთ დანადგარს თან ჩამოჰყვნენ ხელოსნები. ისინი პირველ ხანებში მოემსახურებიან ამ მანქანებს და შეასწავლიან მუშებს მათზე მუშაობას. ახალ მანქანებს მოგვაწოდებენ უნგრეთი, იაპონია და იტალია, რომლებიც ძირითადად ფეხსაცმლის კარგ მწარმოებელ ქვეყნებად ითვლებიან. ჩვენი საწარმოო აგზავნის თავის პროდუქციას რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში. დღეს არცერთი წყვილი ფეხსაცმელი არ გვაქვს საწყობში ჩაწოლილი, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი.



მერი ხალვაში — **ბათუმის სამკერვალო გაერთიანების დირექტორი:** ჩვენს ქვეყანაში დიდ მოთხოვნებს უყენებენ მრეწველობას, ვაჭრობას, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ყველაფერი ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული. მსუბუქი მრეწველობა და ვაჭრობა შეკავშირებულად უნდა მოქმედებდნენ. ძალზე სერიოზული საკითხია კადრების მომზადება, უფრო სწორად ხელმძღვანელი კადრების მომზადება. ამ შემთხვევაში ერთ მომენტზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება. ახლა ყველაზე დიდ მოთხოვნას წარმოების ხელმძღვანელს აკისრებენ. ის არის პასუხისმგებელი გეგმის შესრულების, პროდუქციის ხარისხის, მუშაობის სწორი ორგანიზაციისა და მრავალი სხვა საკითხის გადაწყვეტაში. მაშინ რა პასუხისმგებლობა



თამაზ სიგუა



ჯემალ სანიკიძე



ნიკოლოზ ქუმარიტოვი

აკისრიათ მოადგილეებს, კომერციულ დირექტორს, დირექტორს წარმოების დარგში? რატომ ყველამ ერთად არ უნდა აგოს პასუხი ცუდი მუშაობისათვის? რატომ მხოლოდ დირექტორმა?

როგორც აქ უკვე ითქვა, გამოშვებული პროდუქციის ხარისხი მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული, აქ უნდა იყვნენ აგრეთვე ფეიქრები, რომლებიც უშვებენ იმ პროდუქციას, რომელსაც ჩვენ ვკერავთ.

ჩვენი რესპუბლიკა მოდელების მიხედვით კავშირის მასშტაბით მოწინავეთა რიგებში დგას. თბილისის მოდელების სახლის მემოდელეებმა ქართული მოდები გააცნეს ამერიკელებს. ეს იმას ნიშნავს, რომ კარგი მუშაობაც შეგვიძლია და ამავე დროს ჩვენი საწარმოს მიერ გამოშვებული ხალათი ღილების შეკვრის დროს შეძენიდან მეორე დღესვე იხევა. ეს ბრალდება კი საფეიქრო წარმოებას უნდა წავუყენოთ.

ანდა ავიღოთ გორის ბამბეულის კომბინატის ნაწარმი. ნაქსოვი კარგია, მაგრამ საღებავები? — მხოლოდ მუქი ბორდო და ლურჯი ფერებია და გარეცხვის დროს ეს ფერები ერთიმეორეზე გადადის, რის გამოც იძულებული გავხდით, ჩამოგვეფასებინა ეს ნაწარმი.

ტანსაცმელი კონვეიერული წესით არ უნდა იკერებოდეს. არა თუ კონვეიერული, ერთი და იგივე მოდელის კაბა საზოგადოებაში სამ ქალსაც კი არ უნდა ეცვას. ამიტომ ჩვენ გვინდა, რომ მოდელები მცირე პარტიებად, ინდივიდუალური წესით მზადდებოდეს. საჭიროა, რომ ამა თუ იმ ქსოვილის დაჩითულობა და შეფერილობა დროთა განმავლობაში შეიცვალოს. მე მაქვს ერთი წინადადება, ჩვენს პროდუქციას უნდა გაუკეთდეს სათანადო რეკლამა, რაც ჩვენს ქვეყანაში რატომღაც არ სრულდება.

რაც შეეხება სოციალურ პრობლემას, ისეთი პირობები უნდა შევუქმნათ მუშა ქალებს, რომ ისინი არ ფიქრობდნენ მუშაობის დროს, როგორ გადავიდა სკოლაში მიმავალი ბავშვი ქუჩაზე, ან როგორ ისაუზმა. ამაზე ფიქრის დროს არ იქნება გასაკვირი, თუ მან გვირისტი გაამრუდა. ჩვენთან ჯერ არ არის შექმნილი სათანადო სოციალური პირობები, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე.

**თამაზ სიგუა — თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას" დირექტორი:** „ნარიყალაში" დამკვიდრდა შრომის ორგანიზაციისა და მატერიალური ანაზღაურების ახლებური ფორმით საქმიანობა — მუშაობის ბრიგადული სისტემა, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელოსნის გამომუშავება. დღეს სამომხმარებლო ბაზარი, პროდუქციის რეალიზაცია განსაზღვრავს ხელფასის მაჩვენებელს.

ახლებურმა მუშაობამ ჩვენს პირობებში ცხადყო კონვეიერული მეთოდის ნაკლი, როცა მუშა ერთ ოპერაციას ასრულებს, შემცვლელი კი არა ჰყავს. ბრიგადულის უპირატესობა კი ის არის, რომ ყველა ფლობს ყველა პროცესს.

სამეურნეო ანგარიში ბრიგადების საქმიანობის საფუძველი ხდება. ბრიგადა თავის თავს ინახავს. ვაფართოებთ საწარმოს უფლებებს.

წარმოების ტექნიკური პროგრესი ბრიგადული საქმიანობის შედეგია.

საპროგრამოდ მივიჩნიეთ „ვერც ერთი ნაბიჯით ვერ წავიწევთ წინ, თუ ვერ ვისწავლით ახლებურად მუშაობას".

ჩვენი შენობა თანამედროვე წარმოებისათვის ყოვლად შეუფერებელია. საწარმოში ძალზე ცუდი შრომის პირობებია, საამქროებში დიდი სივიწროვეა. ვერ შემოვიტანეთ გაზრდილი სიმძლავრის მანქანა-დანადგარი, სახელდობრ, თარგების გასამრავლებელი მანქანა, რომლის დასამონტაჟებელი ადგილი არ არის. არა გვაქვს კარგი საიარაღო საამქრო, სადაც საჭრისები დამზადდებოდა, განვიცდით მექანიკოსთა კვალიფიციური კადრების ნაკლებობას.

საკმაოდ შემცირდა რეკლამაცია ჩვენი წარმოების პროდუქციაზე, მაგრამ მაინც მთავარია, ფეხსაცმლის ხარისხი, იგი კოლექტივის საერთო საზრუნავია. თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პირობებში საქმიანობს ოცდაორი ბრიგადა.

ვცდილობთ ფეხსაცმლის ახალი მოდელები დავნერგოთ, თუმცა სამართლიანია სავაჭრო ორგანიზაციების პრეტენზიები, როცა გამოშვებული პროდუქციის წუნზეა ლაპარაკი. მომწოდებლებიც გვაფერხებენ — ტყავის ცუდი ხარისხით. უხარისხო ტყავისაგან კი ხარისხიანი ნამზადი აბა როგორ შეიკერება! წებო რომ წებოა, ამასაც სხვა გვიმზადებს და ზოგჯერ არასრულფასოვანს. ფეხსაცმლის ხარისხი ყველას საერთო საზრუნავია. როცა გარდაქმნაზეა ლაპარაკი, ყველა რგოლს მოეთხოვება ახლებური მუშაობა — მომწოდებლებს, ჩვენ, სავაჭრო დარგსაც და, რა თქმა უნდა, სამინისტროსაც.

ახლებური მუშაობისათვის, სრული გარდაქმნისათვის მხოლოდ კეთილი სურვილები არ არის საკმარისი. საქმე ისე უნდა აეწყოს, რომ ჩვენს მიერ შეკერილ ფეხსაცმელს მომხმარებელი დაეძებდეს, აი ეს იქნება ახლებური საქმიანობა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ვარკეთილის მასივში 1988 წლის ბოლოსათვის უნდა აშენდეს და საექსპლოატაციოდ ჩაბარდეს ჩვენი ფაბრიკის ახალი შენობა, აღჭურვილი თანამედროვე მანქანა-დანადგარებით, მაგრამ ადგილობრივმა ორგანოებმა მისი ჩაბარების ვადა რატომღაც ხუთწლედის ბოლოსათვის გადასწიეს.

**იური ცაავა — სოხუმის ფეხსაცმლის ფაბრიკის მთავარი ინჟინერი:** დღესდღეობით ბევრი ლაპარაკია საწარმოების მოდერნიზაციისა და გადაიარაღების შესახებ, მაგრამ შეუძლებელია ძველ მანქანებზე მუშაობით კარგი ხარისხის პროდუქციის გამოშვება.

ახლახან მივიღეთ იტალიური დანადგარი და აი, საწარმომ შარშანდელი სამუშაო გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. პირველ კვარტალში ჩვენი წარმოება მიიღებს კიდევ ორ ახალ დანადგარს, რომლებიც შესაძლებ-



იური ცაავა



ელგუჯა თხელიძე

თ. ნიკოლაიშვილის ფოტოები

ლობას მოგვცემს გავაფართოოთ და გავამდიდროთ კაცის, ქალის და ბავშვის ფეხსაცმელების ასორტიმენტი. ახალმა დანადგარებმა უკვე მოგვცა შესაძლებლობა გაგვეუმჯობესებინა პროდუქციის ხარისხი. ლენინგრადელი მოდელიორებიც გვირჩევენ მოდელებს, რომლის მიხედვითაც ვმუშაობთ. ასევე ვიღებთ ჩვენთვის საჭირო ფურნიტურს, ქალის ფეხსაცმლის ქუსლებს და საერთო ჯამში კარგ პროდუქციას ვამზადებთ, გეგმებს ვასრულებთ, დარღვევები არა გვაქვს, დაბრუნებული საქონლის მაჩვენებელი მხოლოდ 0,6 პროცენტს შეადგენს, მაშინ, როდესაც წინანდელი 12-13 პროცენტი იყო. გვინდა, არც ერთი წყვილი წუნდებული ფეხსაცმელი არ გვქონდეს ფაბრიკაში.

**ჯემალ სანიკიძე — ქუთაისის საწარმოო სამკერვალო გაერთიანება „გელათის" დირექტორის მოადგილე:** ყველას ერთნაირი სატკივარი გვქონია. არც ჩვენ ვართ კმაყოფილნი იმ შედეგებით, რასაც ვიღებთ. თუ ტანსაცმელს ვკერავთ იმპორტული საქონლისგან, გამოშვებული ნაწარმი შედარებით კარგი ხარისხის გამოდის. კარგი ხარისხისაა ივანოვოს და სხვა საწარმოებიდან მიღებული ნედლეული, რასაც ვერ ვიტყვით გორის საწარმოო კომბინატის მიერ გამოშვებული პროდუქციის შესახებ.

მოვაწყეთ ასეთი ექსპერიმენტი: გავრეცხეთ გორის საწარმოს მიერ გამოშვებული ფლანელის ქსოვილი და შავი ფერი წითელში გადავიდა, წითელი — შავში. ამის გამო მარტო გორის კომბინატი არ შეიძლება დავადანაშაულოთ.

ჩვენს პროდუქციას ვკერავთ გლუხოვოდან მიღებული ძაფით, რომელიც წარამარა წყდება, არა გვაქვს შესაფერისი მუყაოს ყუთები საქონლის ტრანსპორტირებისათვის. ყუთებს რომ ერთმანეთზე დავაწყობთ, ირღვევა მათი მთლიანობა, ამიტომ პროდუქციაც ადგილზე მიტანის დროს სრულიად უვარგისია.

საქმეს ართულებს ისიც, რომ საწარმოს წლის განმავლობაში სხვადასხვა კუთხით რამდენიმე მაკონტროლებელი ორგანიზაცია ამოწმებს. იყო ასეთი შემთხვევაც: მყიდველმა კაცის პერანგი შეიძინა ხარკოვში, ორჯერ გარეცხა და პერანგი დაიხა (იქნებ სწორად არ გაწურა), გვიჩივლა და მე დამიკავეს ერთი თვის ხელფასი.

რაც შეეხება აუქციონის მოწყობას, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია არა მარტო სამკერვალო ფაბრიკებისა და გაერთიანებების მიერ გამოშვებული საქონლის ხარისხი, არამედ თვით ფეიქრებისა, რომლებიც გვაწვდიან ნედლეულს, და ისიც, რომ აპარატურაც არ გვივარგა ჩვენი პროდუქციის დასამზადებლად. აი, რამდენი პრობლემაა გადასაწყვეტი.

კარგად ვხედავთ ჩვენი მუშაობის ხარვეზებს, როცა კარგად არ არის შეკერილი ესა თუ ის საქონელი, სწორად არ არის გატარებული გვირისტი და სხვა, მაგრამ, როცა დარღვეულია ქსოვის ტექნოლოგია, როცა ცუდად არის შეღებილი ქსოვილი, ამაში რასაკვირველია, დანაშაული ჩვენ არ მიგვიძღვის. საბოლოო ჯამში კი მაინც ყველამ ერთად უნდა ვაგოთ პასუხი იმ ცუდი პროდუქციისათვის, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოები უშვებენ და მომხმარებელს უკმაყოფილოს ტოვებენ.

**ნიკოლოზ ქუმარიტოვი — ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკის დირექტორის მოადგილე:** მოგახსენებთ ღონისძიებებზე, რომლებიც განახორციელა ცხინვალის ტრიკოტაჟის საწარმომ, რომ გაეუმჯობესებინა თავისი პროდუქცია, აემაღლებინა მისი ხარისხი.

ჩვენს საწარმოში ყოველ პარასკევს იმართება საბჭოს სხდომა, რომელიც მსჯელობს და იხილავს პროდუქციის მოცულობის, ხარისხის საკითხებს, არის ყველა პირობა იმისა, რომ საქონელი, რომელიც 1988 წლისათვის არის გაწერილი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს 1987 წელთან შედარებით.

შეიძლება პროდუქციის ხარისხზე მოქმედებს ის ფაქტორიც, რომ ჩვენს მუშაკებს არა აქვთ ნორმალური საცხოვრებელი პირობები, დაბალია მათი გამომუშავების ნორმები.

გვისაყვედურეს, ყველა ზომის პროდუქციას არ უშვებთო. საქმე ის არის, რომ ყველა ზომის საქონელი რომ გამოვუშვათ, მაშინ სასაწყობო სათავსოები კიდევ მეტად გადაიტვირთება.

**რეპლიკა:** ესე იგი თქვენი პროდუქციის ხარისხი ისევ სათუოა?

**ს. კერესელიძე**

ღებთ ყველა ზომისა და სისრულის [illegible] ციას, რატომ ჩვენს საწარმოებს არ შეუძლიათ ასევე მოიქცნენ და ყველა ზომის საქონელი მოგვაწოდონ?

**ელგუჯა თხელიძე — თბილისის ცენტრალური უნივერმაღის ვაჭრობის განყოფილების უფროსი:** ცენტრალური უნივერმაღის დირექტორმა სულიკო კერესელიძემ, სხვა ამხანაგებმა გულისტკივილი გამოთქვეს იმის გამო, რომ მომხმარებელს უხარისხო პროდუქციას ვაწვდით.

ვაჭრობის დარგს ისეთივე პრობლემები აქვს თავის მუშაობაში, როგორიც სამრეწველო დარგის საწარმოებს. ჩვენც ვერ ვწყვეტთ უმტკივნეულოდ ბევრ პრობლემას, ჩვენთანაც მოდიან მაკონტროლებელი ორგანიზაციები. აქ ჩემს აზრს მოგახსენებთ. განა არ სჯობს საქონლის ხარისხის შესამოწმებლად იყოს ერთი და კომპეტენტური, გეზის მიმცემი და დამხმარე მაკონტროლებელი ორგანიზაცია, ვიდრე მრავალი და მაინც შედეგი ვერ მივიღოთ. დღეს განსაკუთრებით ვლაპარაკობთ ხარისხზე, რადგან ეს არის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი საქონლის რეალიზაციისა, მაგრამ, რადგან ჩვენი პროდუქციის ხარისხი დაბალია, მისი რეალიზაცია გვიძნელდება. მაგალითად, ლაპარაკი იყო ცხინვალის ტრიკოტაჟის ნაწარმზე, ჩვენ ვეტერანთა მაღაზია გავხსენით და იქ ერთი საცვალი არ გაიყიდა ამ საწარმოდან მიღებული.

რაც შეეხება ფეხსაცმელს, ამ საწარმოებთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს სხვადასხვა სავაჭრო ორგანიზაციებს. ფეხსაცმლის მოდელების შესახებ კი მოგახსენებთ, რომ ზოგჯერ კვირაში მხოლოდ ერთი მოდელი მოდის ჩვენთან სარეალიზაციოდ, და მისი გაყიდვაც ჭირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პროდუქციის ხარისხზე საქმიანი სჯა-ბაასი გაიმართა

ფეხსაცმლის დარგის მრეწველებს მივმართავ: რატომ არ კერავთ და არ გზავნით სავაჭროებში ბიჭუნების ფეხსაცმელს (32-34, 37-38 ნომრებს)? რა ჩაიცვან ამ ასაკის მოზარდებმა? როგორ შეიძლება გამოსწორდეს ეს ხარვეზი?

**ს. კერესელიძე:** თბილისის ცენტრალურ უნივერმაღში ორჯერ გავაფართოეთ ფეხსაცმელების სექციის საგამოფენო დარბაზი. ამ სექციას დაეთმო ერთი სართული, ფაბრიკების მიერ გამოშვებული თითქმის ყველა მოდელი სარეალიზაციოდ არის გამოგზავნილი და მთლიანად გამოფენილია. თუ კი წარმოებას რაიმე კარგი აქვს გაკეთებული, ჩვენ მას არ დავუკარგავთ. სამაგიეროდ ვალში ვართ სხვა სახის პროდუქციის მწარმოებლებთან. საწყობებში ეს პროდუქცია პირდაპირ აწყვია პარტიებად. რაც, რასაკვირველია, საქონლის ხარისხის დაქვეითებასაც იწვევს.

საწარმოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ისეთი პროდუქციის გამოშვებაზე, რომელსაც მომხმარებელი გამოიყენებს, როგორც სასაჩუქრო კომპლექტებს. იგი უნდა იყოს ლამაზ პარკებში ჩალაგებული, რასაკვირველია, ამ ცელოფანის პარკების ღირებულების გაანგარიშებით.

**ე. თხელიძე:** მომხმარებელი მოითხოვს ჩვენგან კაცის სხვადასხვა ზომის თეთრ, სადა პიკეს პერანგებს, ოღონდ კარგი ხარისხისას.

**მარიკა ბარათაშვილი:** მართალია დიდი დრო წაგართვით, მაგრამ „საქართველოს ქალის“ რედაქციის კოლექტივს სურდა ჩაეხედა თქვენს საქმიანობაში, თქვენს პრობლემებში.

და, აი, გავიგეთ, რომ ფეხსაცმლის წარმოებას არა აქვს კარგი ტყავის მასალა, საჭირო ძაფი, ფურნიტურა. სამკერვალო და ტრიკოტაჟის გაერთიანებებს არა აქვთ სათანადო ხარისხის ქსოვილები, არც სათანადო მანქანა-დანადგარები მაღალი ხარისხის მზა ტანსაცმლის მოსაწოდებლად. ე. ი. გვაქვს მრავალი პრობლემა, რომლის გადაწყვეტას დიდი მონდომება, საშუალებები და დრო სჭირდება.

ყოველ შემთხვევაში, თქვენთან გარდაქმნის პროცესი დაიწყო, ნამდვილად ახლებურად დაგიწყიათ მუშაობა, იმ რწმენით, რომ აღარ შეიძლება ძველი სტერეოტიპებით საქმიანობა. ვის რად სჭირდება უაზროდ შესრულებული გეგმები და უხარისხო საქონელი?

რამდენიმე წლის წინ მე და ჩემი თანამშრომლები ვიყავით ერთ-ერთ ფაბრიკაში, სადაც მთელი დიდი დარბაზი სავსე იყო ყოვლად უვარგისი პალტოებით. არა მგონია ვინმე მოეხიბლა იმ პროდუქციას.

ჩვენ გეგმიური წარმოება გვაქვს, და გვექნება, მაგრამ თუ გეგმას ხარისხის დონეც არ შეესატყვისება, ასეთი საქონელი არ სჭირდება მომხმარებელს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველდღიურად იზრდება და იხვეწება საბჭოთა ადამიანის გემოვნება. მას სურს კარგად ეცვას. ამისათვის კი, როგორც ვხედავთ, მრავალი პრობლემის გადაჭრაა საჭირო, თანაც რთული პრობლემებისა, მაგრამ აქ ისეთი გულმხურვალე ადამიანები შეიკრიბენით, რომ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, ამ სიძნელეებს დაძლევთ.

მართლაც მჭიდრო ურთიერთ კავშირშია პროდუქციის გამოშვების გეგმა, ხარისხი და შრომის ანაზღაურება. მაგრამ გარდა ამისა, აუცილებელია დაისახოს მნიშვნელოვანი ღონისძიებები თქვენი მუშაკების მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით ქალებს, დედებს სჭირდებათ შეღავათები.

დიახ, ამ მშრომელებს სათანადო პირობები უნდა შეექმნათ. მათ წიგნიც უნდათ, კინოც, ახალი სპექტაკლის ნახვაც და საამისო დროც უნდა ჰქონდეთ. ესე იგი, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მრეწველობისა და ვაჭრობის დარგის მუშაკებს შრომის, ყოფაცხოვრების და პროფესიულ-კულტურული ზრდის კარგი სოციალური გარემო შეექმნათ.

ძვირფასო მეგობრებო, დღეს ჩვენს მეგობრობას ჩაეყარა ერთგვარი საძირკველი, გვეძლევა შესაძლებლობა ჩვენი ჟურნალის 167000 ხელისმომწერს მივაწოდოთ თქვენი მოსაზრებანი და დაპირებები.

* * *

ცხარე მსჯელობამ, აზრთა გაცვლა-გამოცვლამ ნათელყო, რომ მსუბუქი მრეწველობის წამყვან საწარმოებში გასაკეთებელი კიდევ ბევრია. მომხმარებელი ბევრი სახეობის საქონელს იწუნებს. თუნდაც ჩამოაფასონ, მაინც არ ყიდულობს. უპირველესი ამოცანაა შინაგანი რეზერვების მობილიზაცია, რომ იმავე საწარმოო ფართობებზე ყოველწლიურად გაადიდონ პროდუქციის გამოშვების მოცულობა, გააუმჯობესონ მისი ხარისხი. ძირითადი ყურადღება მიექცეს მოწყობილობის მაქსიმალურ დატვირთვას, ნედლეულისა და მასალების ეკონომიას, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან შემოქმედებითი კავშირების განმტკიცებას. ასორტიმენტის, ხარისხის გაუმჯობესება პირდაპირ დამოკიდებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე. მრეწველები სისტემატურად, კომპლექსურად უნდა სწავლობდნენ მომხმარებელთა მოთხოვნილებებს, მეტი კავშირია საჭირო სავაჭრო ორგანიზაციებთან იმის გასაგებად, რომელ მოდელზეა მოთხოვნილება და რომელზე არა. საჭიროა დაკვირვება აწარმოონ ახალი, გაუმჯობესებული ნაწარმის მცირე საცდელი პარტიების გაყიდვაზე, სისტემატურად მოაწყონ პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, მომხმარებელთა კონფერენციები.

მომხმარებელი გვეკითხება, როდის დადგება დრო და ჟამი შეიძინოს სავაჭრო ორგანიზაციაში საქონელი, რომელიც მას მოეწონება?

„მრგვალ მაგიდას“ უძღვებოდა
ეთერ ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა
18723

# ვულოცავთ!



იგი ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი მესვეურია — ენერგიული, ოპერატიული მუშაკი. მის სახელთან ბევრი რამ არის დაკავშირებული — მრავალ კეთილ საქმეს ჩაუყარა საძირკველი, ბევრი რამ შემატა რესპუბლიკას, თბილისს, ადამიანებს თუ ჩარევითა და მცდელობით, თუ კეთილი სიტყვით, ნუგეშით და დახმარებით.

ნინო ქვანია — თავისთავადი, დასამახსოვრებელი გარეგნობის მანდილოსანი — ქუჩაში რომ გამოჩნდება, ცნობენ და გზას უთმობენ. მოდის მოკრძალებულად, მოდის და ნაცნობებს არ ეძებს. მისთვის ყველა ნაცნობია, ყველას ესალმება.

...შარშან, დეკემბრის ერთ საღამოს ქალბატონ ნინოს ბინაზე შეიკრიბნენ შვილები, შვილიშვილები, ახლობლები, მეგობრები მისი დაბადების დღის აღსანიშნავად.

ჩვენი რედაქციის კოლექტივი, სარედაქციო კოლეგია, მრავალათასიანი მკითხველი მხურვალედ ულოცავს ქალბატონ ნინოს დაბადების დღეს, უსურვებენ ჯანმრთელობას, მხნეობას, თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახის კარგად ყოფნას.

840 სტუდენტი ცხოვრობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ ქალაქ „ბაგებში“. ჩვენი საახალწლო შეხვედრები საზღვარგარეთელ სტუდენტებს მივუძღვენით.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰასან ჩელიქი, ალი ალთუნი და სოსო კაკუბავა (მარჯვნივ)

# „ჩვენ თბილისში ვცხოვრობთ“

## რეპორტაჟი პატარ-პატარა ჩანახატებით

ჩიდემ ალთუნი ერთ-ერთი მათგანია. — სადაური ხართ? — ვეკითხები.

— თურქეთიდან გახლავართ,— ამბობს და იღიმება. ისე კარგად ლაპარაკობს ქართულად.

ჩიდემ, ქართული მშვენივრად გისწავლიათ! — აღტაცებას ვერ ვფარავ.

— წარმოშობით ქართველი ვარ! ალთუნაშვილები ყოფილან ჩემი წინაპრები, შავშები.

სტუდქალაქი. ჩიდემის ბინა.

— ჩაის ხომ არ მიირთმევთ? — მეკითხება და უკვე ფინჯანში ასხამს.

ზამთარია. ოთახში სასიამოვნოდ თბილა.

— ტაო-კლარჯეთის მიწასთან ერთად დარჩენილები ვართ იქით... სევდა გამოუკრთის ხმაში.

მყუდრო, ოჯახური გარემოა. წიგნების კარადა, საწოლი, პატარა სამუშაო მაგიდა და თვითონ ჩიდემი — დიასახლისი ქმნიან ამ სიმყუდროვეს.

— ნამცხვარი მიირთვით...

წარმოვიდგინე ჩიდემი, ქართული ოჯახის დიასახლისი. დაშვენდება!

გარეთ ცივა და ჩაიზე უკეთესს რას ინატრებ...

— სად ცხოვრობთ, იქ, თურქეთში? — ვეკითხები.

— სამსუნში, შავი ზღვისპირა ქალაქია. იქ ჩემი ძმა ნეჯაათი ცხოვრობს თავის პატარა გოგო-ბიჭით. აი ისინიც... და წიგნების კარადის მინაში ჩამაგრებულ ფოტოებზე მითითებს. — ასლი და ახმედი — თურქული სახელები ჰქვიათ.

— თქვენ?

— მეც.

ხმაში ისევ გამომკრთალი სევდა.

— ჩიდემ!

თავი ასწია: — ბატონო?

— თქვენებმა თუ იციან ქართული?

— ჰო, ბებიაჩემმა ზინეთმა.

— მშობლები სად არიან?

— საფრანგეთში. დროებით ცხოვრობენ იქ. მამაჩემი სავაჭრო ფირმის დირექტორია. ზინეთი, თურმე, ერთთავად ჩვენ გვკითხულობს, მე და ალის.

— ალი ვინღაა?

— ჩემი ძმა. ქართული ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა უნივერსიტეტში და აქვე, ასპირანტურაში აგრძელებს სწავლას.

— როგორ გრძნობთ თავს, ჩიდემ, აქ, ჩვენთან, წინაპართა მიწაზე?

— როგორც შინ — ანკარაში, სამსუნში, სადაც გავიზარდე. უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს განსაკუთრებულად გვექცევიან საქართველოში.

— ანკარა ახსენეთ, სამსუნი გასაგებია, — იქ ბავშვობა გაგიტარებიათ, ანკარა რაღა შუაშია?

— ჩვენ ანკარაში ვცხოვრობთ, თურქეთის დედაქალაქში. სამსუნში, ბალიჯაში, რომელიც დაბას წარმოადგენს, საკუთარი სახლი გვაქვს ეზოთი და ბაღით...

— თქვენ ანკარიდან ჩამოხვედით თუ სამსუნიდან?

— არა, საფრანგეთიდან, საიდანაც ჩემმა მშობლებმა გამომაცილეს. ერთი წელიწადი საკმარისი აღმოჩნდა, რომ უცხოელ მოქალაქეთა მოსამზადებელ ფაკულტეტზე ქართულ ენას რიგიანად დავუფლებოდი. მაშ, თქვენ ამბობთ, რომ ქართულს კარგად ვლაპარაკობ? — უხარია.

საოცრად უშუალოა ჩიდემი, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვიყოთ.

— თქვენი ძმა და მისი მეგობარი ჰასან ჩელიქი მინდოდა გამეცნო... სად ვნახავ?

— ალი ქალაქშია გასული, ჰასანი კი — ზუგდიდში, მეგობრის ქორწილშია წასული. ნახავთ.

ჰასან ჩელიქი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტია. „ვეფხისტყაოსნის“ ბწკარედები მოამზადა თურქულად. კარგ საქმეს აკეთებს. ისიც ქართველია, ქართული სოფლიდან გახლავთ.

ჩიდემს სადღაც მიეჩქარება. ჩემი მასთან ყოფნის დროც ამოიწურა.

— ფალიაშვილის ქუჩაზე მივდივარ, მანქანის მართვას ვსწავლობ, — მეუბნება.

უნივერსიტეტში მეორად ფაკულტეტზე ფრანგულ ენასაც ეუფლება ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი ჩიდემ ალთუნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლიბიელი აბდულხაფიზ ჯაბირი ოჯახთან ერთად

აქ მცხოვრები საზღვარგარეთელი ახალგაზრდებისათვის იმ მხრივაც იქნება დაუშრეტელი წყარი, რომ სტუდენტურ ქალაქში ბევრმა მათგანმა ჰპოვა ბედნიერება.

— აქ დაოჯახდნენ სიეტლელი (ამერიკის შეერთებული შტატები) როლანდ რეხვიაშვილი და თბილისელი მანანა რეხვიაშვილი. თბილისში იქორწინა პატრიცა ორწანკამაც — ლათინური ამერიკის მკვიდრმა. სტუდქალაქის სიამაყეა სტუდენტური ოჯახები.

## აუცილებელი ინფორმაცია ანუ შეხვედრა ზურაბ ჟვანიასთან და მერაბ ჯელიასთან

ზურაბი საგარეო ურთიერთობის განყოფილებას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტში.

— ცოტა რამ საზღვარგარეთთან ურთიერთობიდან...

მომითხრობს:

— პირველი უცხოელი სტუდენტები უნივერსიტეტში ორი ათეული წლის წინათ ჩამოვიდნენ. 1977-78 წლებში მათი რიცხვი ასპირანტებით, სტაჟიორებითა და მასწავლებლებით კიდევ უფრო გაიზარდა. 21 ქვეყნის ორასზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს უნივერსიტეტის უცხოელ მოქალაქეთა მოსამზადებულ ფაკულტეტზე, რომლებიც დღეს რუსულს და ზოგადტექნიკურ საფუძვლებს ეუფლებიან.

საინტერესოა თბილისური კავშირებიც — იენის, ბრატისლავის, ლოძის, დაძმობილებული ქალაქების — ლუბლიანისა და საარბრიუკენის უნივერსიტეტებთან. საზღვარგარეთ ყოველწლიურად სტაჟირებისათვის 60-მდე კაცი მიემგზავრება. გეგმაშია ურთიერთობის აღდგენა ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებთან, მოლაპარაკება მიმდინარეობს იტალიის, შვეიცარიის, საფრანგეთის უნივერსიტეტებთან მეგობრობის დასამყარებლად. საუნივერსიტეტო კავშირი, ამრიგად, 35 ქვეყანას მოიცავს. (სამეცნიერო სამუშაოების ჩატარება, სიმპოზიუმები).

— ჩვენს ქვეყანაში უცხოელ მოქალაქეთათვის 56 მოსამზადებელი ფაკულტეტია გახსნილი. ყოვლწლიურად, — ამბობს ამ ფაკულტეტის დეკანი, — დოცენტი მერაბ ჯელია, — ასზე მეტი საზღვარგარეთის ქვეყნის 12 ათასამდე ახალგაზრდას ამზადებენ ისინი საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო ჩვენთან გატარებული ერთი წელიწადი საკმარისია იმისათვის, რომ მათ თბილისში სწავლის გაგრძელება ისურვონ.

## „თბილისი", „ბაგები", „სტუდქალაქი"

საგახგებოდ არის გაშოკვეთილი ეს მისამართი კონვერტზე. ადრესატი მადუმანი ჯინასენა გახლავთ, შრინლანკელი გოგონა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელი ფაკულტეტის სტუდენტი. კარებთან, ხელმარცხნივ მოკალათებულა და მეგობრებთან ერთად თავი ჩაურგავს, რაღაცით არიან გართულნი.

## დერეფანში

პატარა საბავშვო ეტლები და ლიბიელი აბდულხაფიზ ჯაბირი შემოგვხვდა — უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ასპირანტი სამი შვილით. უმცროსი — ომარი თბილისში დაიბადა. წლინახევრისაა. ნადჟლის და მუჰამედს, — უფროს გოგონას და შუათანა ბიჭუნას, დიდი შავი თვალები აქვთ და შავზე უფრო უშავესი ლამაზი ხუჭუჭა თმები. ხუთი წლის ნადჟლი ჭკვიანი გოგონაა, რუსულად უკვე გამართულად ლაპარაკობს. — სად ისწავლა?

კამილა ელვასარი, — დედამისი მოსამზადებელ ფაკულტეტზე სწავლობს. ნადჟლი, როცა დედა მეცადინეობს, გვერდიდან არ შორდება. ტელევიზორიც უყვარს, განსაკუთრებით მულტფილმები, რომელთა საშუალებითაც ახალ რუსულ სიტყვებს სწავლობს. ნადჟლის მშობლები ზოგჯერ ბავშვებსაც უტოვებენ, ვიდრე სტუდქალაქში საბავშვო ბაღი გაიხსნებოდეს. გოგონა გულმოდგინედ უვლის ძმებს. ერთი წელიც არ არის, რაც ნადჟლი ჯაბირი საქართველოშია და, თქვენ წარმოიდგინეთ, ქართულიც ისწავლა — ოღონდ უჭირს ჯერ გამართულად ლაპარაკი.

— გამარჯობათ, — მოგვესალმა აბდულხაფიზთან ერთად გოგონა დერეფანში. სართულზე დრო და დრო კამილა ელვასარი გამოჩნდება ხოლმე — აბდულხაფიზის მეუღლე და შორიდან გვიღიმის. ბევრი საქმე აქვს სამი შვილის დედას — სწავლა, ოჯახი...

დერეფანში იორდანელი ჰალთიც გაგვეცნო თავის პატარა გოგონასთან ერთად. თბილისთან განსაკუთრებული გრძნობები აკავშირებს. ჰალთი თბილისელების სიძეა.

## სულთან ჰალიმი

— ბევრია ასეთი სტუდენტური ოჯახები ჩვენთან, სტუდქალაქში, — მითხრა სტუდსაბჭოს აქტივისტმა სულთან ჰალიმმა, როცა უცხოელ მოქალაქეთა მოსამზადებელი ფაკულტეტის დეკანატში გამაცნეს.

ავღანელ ფარიდ ომარზე და მის ოჯახზე მესაუბრებიან. ფარიდი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის ასპირანტია. აქაური სტუდენტები მას ავღანეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის „ლიდერად" თვლიან. თბილისელმა ასმათ სიჭინავამ და მან „ინტერკლუბში" გაიცნეს ერთმანეთი. ორი შვილი ჰყავთ ფარიდს და ასმათს.

— ასმათი ჩვენი საამაყო რძალია, — ამბობს სულთანი, — თბილისი, საქართველო,

— დღეს მათ ბედნიერი დღე გაუთენდათ, — ამბობს სვეტლანა მასწავლებელი, შინიდან წერილები მიიღეს.

შრინლანკულ ენაზე, სინგალურად და თამალურად „სამშობლო“ „მატროდუსუნ“ და „მატრო ბუმუნ“ არის. და არ არსებობს ქვეყნად ამ სიტყვებზე ძვირფასი, როგორც მადუმანი ამბობს.

მაგრამ არანაკლებ გიყვარს ქვეყანა, სადაც უცხოდ არ გრძნობ თავს.

მადუმანმა პირველად იზეიმა დაბადების დღე თბილისში. მაგრამ შინიდან მოსულმა მისალოცმა ბარათმა მაინც განსაკუთრებულად გაახარა.

ჩანდრიკა კანანგარა, გვერდით რომ უზის მადუმანს, მისი სკოლელია პატარა ქალაქ ვეიანგოდადან. მათ, ორივეს ექიმობა სურთ. რამეშ ნადუხაც. იგი ერთადერთი ინდოელი სტუდენტია სვეტლანა ტიხონოვას შრინლანკულ ჯგუფში (რა თქმა უნდა, პირობითად ვამბობთ, რადგან ისინი ჭარბობენ).

რამეში ოდნავ სევდიანია. — დღეს მამაჩემის (სრიკაკულას რაიონის პარტორგანიზაციის მდივნის) გარდაცვალების დღეა, — ამბობს. რამეში ინდოეთის კომუნისტური პარტიის წევრია.

ადრა პრაიშის შტატში, სრიკაკულას რაიონში, კოტურეში ცხოვრობს დედამისი თავის ექვსი შვილით. მათ ყველას ძალიან უნდათ შინ მალე დაბრუნდეს ბიჭი (ორადორი ექიმია სრიკაკულას ჰოსპიტალში). ისინი უკვე რამეშს მათ გვერდით ხედავენ თეთრ ხალათში გამოწყობილს.

საერთო საცხოვრებელში შეხიდ ონსააფთან და ქრემ ნაზირთან ერთად ცხოვრობს რამეშ ნადუ. ბომბეელ თანამემამულეებს თბილისში დაუმეგობრდა. „ბაგები“, აქ გატარებული სტუდენტური წლები მთელი სიცოცლე ემახსოვრებათ. აქ ხომ ასე შთამბეჭდავია მრავალი ბედნიერი წუთი.

## ალი ალთუნი და მისი მეგობრები

ალი საერთო საცხოვრებლის 1 სართულის მობინადრეა. ფოტორეპორტიორთან ერთად რამდენიმე დღის შემდეგ კარზე ფრთხილად ვაკაკუნებ.

— მობრძანდით! — ისმის ოთახიდან ქართულად.

ჩვენ უკვე შინ ვართ და გულითადად ვსაუბრობთ. გავიცანი სოსო კაკუბავა ახალგაზრდა თბილისელი ასპირანტი, ალის მეგობარი.

კარზე ისევ კაკუნი ისმის. — ჰასან ჩელიქი, ჩემი მეგობარი გვესტუმრა, გაიცანით! — ამბობს ალი.

ალი ალთუნმა ეს-ეს არი დაასრულა „მარადისობის კანონის“ და „მგზავრის წერილების“ თურქულად თარგმნა. „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური თარგმანიც სულ მალე იქნება, როგორც ჰასანი ამბობს.

ალი და მისი მეგობრებიც ალვბეჭდეთ იმ დღეს სხვებთან ერთად ფოტოებზე...

დალი დვალი

# იუმორი



# ბანით?

— დამშვიდდით, დამშვიდდით, დეიდა კოვაჩ, ყველა ღონეს ვიხმართ, რომ დამნაშავე ვიპოვოთ. ისე კი, ჩვენს პრაქტიკაში ეს ერთადერთი და მეტად თავისებური შემთხვევაა, — მთელი სერიოზულობით უთხრა უფროსმა ლეიტენანტმა პიუშპეკლა დანიმ.

დეიდა კოვაჩი ნერვიულად ჭმუჭნიდა ცხვირსახოცს.

— ალბათ, გამიგებთ, რატომ ვღელავ ასე, ათასი ფორინტი ხუმრობა ხომ არ არის, მარტოხელა ქვრივისთვის დიდი ფულია.

— მაშ, ასე, მოდით აღვადგინოთ მოვლენები... თქვენ ასე, ოთხ საათზე დაბრუნდით შინ და ათასი ფორინტი...

— დიახ, სრული სიმართლეა, ამ დროს უკვე სამზარეულოში მაგიდაზე ეწყო ტკიცინა ასფორინტიანები. ერთხანს გაქვავებული ვიდექი და თვალებს არ ვუჯერებდი. ვერა და ვერ გამეგო, საიდან გაჩნდა ჩემს მაგიდაზე ამდენი ფული. მე ხომ შინ 16 ფორინტის მეტი არა მქონდა, პენსია კი ორი კვირის შემდეგ უნდა მომიტანონ.

— მეზობლებზე ხომ არა გაქვთ ეჭვი?

— არა, ჩვენთან არავინ არის ამის გამკეთებელი.

— იქნებ ის, პირველ სართულზე რომ ცხოვრობს, არპად კრენკოვიჩი. ის ხომ წლების მანძილზე რაიონის ხანდაზმულთა მფარველად ითვლება საზოგადოებრივ საწყისებზე.

— ამის გაფიქრებაც შეუძლებელია, არპადი ასეთ რამეს არამც და არამც არ ჩაიდენდა, შემიძლია დავიფიცო კიდეც.

— მაშინ ეს მითხარით, ხომ არა გყავთ ვინმე კეთილისმყოფელი.

— არა, არავინა მყავს ასეთი, — ამოიოხრა დეიდა კოვაჩმა.

— უფრო იმაზე მაქვს ეჭვი, ვისაც თქვენი სახლის გასაღები აქვს და შეუძლია შემოსვლა მაშინაც კი როდესაც შინ არა ხართ. ვისა აქვს გასაღები თქვენს გარდა?

— ჩემს ვაჟიშვილის, — უპასუხა გაოცებულმა დეიდა კოვაჩმა, — მაგრამ მასზე ეჭვის მიტანა უსაფუძვლოა, ასეთი რამ არასდროს მოუვა თავში. არა, არა, ყველაზე შეიძლება ვიეჭვოთ, მის გარდა.

— მე კი ვფიქრობ, ყველა სამხილი მის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს. ახლავე შეგახვედრებთ პირისპირ და თვითონვე დარწმუნდებით.

— არა მგონია ეს საჭირო იყოს...

— შემოიყვანეთ ეჭვმიტანილი, — ხმამაღლა წარმოთქვა უფროსმა ლეიტენანტმა.

ოთახში გაფითრებული და დაქანცული ახალგაზრდა კაცი შემოიყვანეს.

— გაფრთხილებთ, ჩვენ საკმაოდ მტკიცე საფუძველი გვაქვს იმისა, რომ თქვენ დედის შინ არ ყოფნით ისარგებლეთ, შეიპარეთ მის ბინაში, ჩუმად დაუდეთ ათასი ფორინტი და გაუჩინარდით. ასე რომ, აღიარება გირჩევნიათ.

— არა, არა, კატეგორიულად უარვყოფ ასეთ ბრალდებას.

— მე მაინც გირჩევთ აღიაროთ, ჩვენ საამისოდ სამხილი გვაქვს, აზრი არა აქვს სიჯიუტეს.

— ერთხელ კიდევ გიმეორებთ, რომ ეს ფული არ დამიტოვებია დედაჩემისათვის.

— ესე იგი, არ გინდათ სიმართლე აღიაროთ? ჩვენს ხელთ არის დაქტილოსკოპიის დასკვნა, ფულზე თქვენი ხელის ანაბეჭდია. ახლა რაღას იტყვით, კიდევ უარყოფთ?

— რა გაეწყობა, ვაღიარებ, რომ მე ჩავიდინე... გუშინ პრემია მივიღე, საკმაოდ დიდი თანხა. ჯიბეში რომ ჩავიდე, უცებ რაღაც აზრმა გამიელვა. ახლაც ვერ გამიგია რამ მაფიქრებინა, მაგრამ გადავწყვიტე მცირედი დედისთვის მეწილადებინა. ოღონდ საიდუმლოდ მინდოდა დარჩენილიყო, რომ შემდეგშიც იმედი არ ჰქონოდა, მაგრამ მწარედ მოვტყუვდი.

— აი, ხომ ხედავთ, ჩვენთვის არავითარი საიდუმლო არ არსებობს! ახლა კი იმედს ვიტოვებთ, რომ დღეიდან ყოველი თვის ბოლოს გაიმეორებთ ამ დანაშაულს. იცოდეთ პირადად შევამოწმებ.

უნგრულიდან თარგმნა

ლილი მაისურაძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მოდა









ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაეცანით სარედაქციო ფოსტას

## შუქი

არა გვგონია, ჩვენი სატკივარი გულთან ახლო არ მიიტანოთ. ამ წერილს გწერთ ჟურნალის აქტიური მკითხველი ქალები.

ცნობილია ქართველი ქალის დედობა, მეუღლეობა, დიასახლისობა, სილამაზე. ჩვენ კი, ამ წერილის ავტორებს დაგვავიწყდა რომ ქალები ვართ. სილამაზესა და თავის მოვლას ვინღა დაეძებს, ნეტავი ბავშვებსა და ოჯახს როგორმე მივხედოთ.

ქალაქ ხაშურში, სარაჯიშვილის ქუჩაზე ვცხოვრობთ. ჩვენი ბინები ამიერკავკასიის რკინიგზის ხიდებისა და გვირაბების საამშენებლო ორგანიზაციას ეკუთვნის. სარაჯიშვილის ქუჩა დიდია და ამიტომ სახლებიც ბევრია უამრავი მობინადრეებით.

ოჯახური დატვირთვა ხომ უმეტესად ქალის სუსტ მხრებზე გადადის და თუ ამ ტვირთს უფრო დავამძიმებთ, შეუძლებელია მისი ზიდვა. ამ ქუჩაზე მცხოვრებ ქალებს ნამდვილად დაგვიმძიმდა ტვირთი.

წარმოიდგინეთ ჩვენი გაჭირვება, მიღწევებისა და გარდაქმნის ეპოქაში ელექტროგანათება არა გვაქვს. დენი ისეთი დაბალი ძაბვისაა, დააზიანა მაცივრები, სარეცხი მანქანები, არ მუშაობს ტელევიზორი, რადიოც გაჩუმებულია და საერთოდ მოიშალა ელექტროტექნიკა. ერთადერთი უთო უძლებს შენელებულ დენს.

ამიტომ ჩვენი მთავარი საზრუნავი არის ნავთი. დავუბრუნდით ნავთის ქურებსა და სანთელს. ახლა ზამთარია და ექვს საათზე უკვე ბნელა. საღამოს, სახლში რომ შევდივართ, ელექტრონათურებში მარტო წითელი ძაფი ანთია. ამიტომ ვეშურებით დღის დარჩენილ შუქს და ვამზადებთ ვახშამს, ვალაგებთ. მერე როცა დაბნელდება, ბავშვები მეორე ქუჩაზე გადაგყავს ნათესავებთან სამეცადინოდ, იქ შუქი კაშკაშებს.

საოცარია, მთელ ქალაქში ნორმალური განათებაა, ჩვენ კი ჩაბნელებულ უბანში ვცხოვრობთ.

ჩვენთვის არ არსებობს კულტურული დასვენება სახლში, ჟურნალ-გაზეთებს სამსახურში ვკითხულობთ, სხვებს ვუსმენთ რა ნახეს ტელევიზორში, რა მოისმინეს რადიოთი.

ვის არ მივმართეთ, პასუხი ერთია —მოითმინეთ ან არ გვეხება... ოცი წელია ვითმინეთ, ახლა ყველაფერი უნდა გარდაიქმნას, იქნებ ჩვენი ცხოვრებაც გარდავქმნათ, აღარ გვქონდეს ის უსიამოვნო შეგრძნება — ნატვრა: ნეტავი არ დაღამდეს და სახლში არ წავიდეთ.

ძვირფასო რედაქციავ, დაგვეხმარეთ, რომ ჩვენს ქუჩაზე, ჩვენს ფანჯრებშიც აკიაფდეს შუქი.

ხაშური, სარაჯიშვილის ქუჩაზე მცხოვრები დიასახლისები.

## საგზური

1957 წელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მძიმედ, ავად გავხდი, პოლიომიელიტის დიაგნოზით (ქვედა კიდურების დამბლა წელის ჩათრევით).

თხუთმეტი წელი ვმუშაობდი ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე. აქედან ათი წელი თბილისის უპატრონო ბავშვთა სახლში, ექთნის თანამდებობაზე. სკკპ წევრი ვარ უკვე 47 წელიწადია.

34 წლისა მივეჯაჭვე სარეცელს. მაშინ სამედიცინო მოსამსახურეების ხელფასი ძალზე მცირე იყო და პენსიაც 60 მანეთი დამენიშნა, ახლა მომიმატეს და 82 მანეთს ვღებულობ.

ოცდაათი წელია ფეხი არ დამიდგამს მიწაზე. სათქმელად იოლია, მაგრამ აბა 365 დღე გაამრავლეთ ოცდაათზე და მაშინ მიხვდებით, რა მძიმე მდგომარეობაში ვართ მე და ჩემი ოჯახი.

მართალია, ახალგაზრდობის წლები ჩამიმწარდა, მაგრამ სულით არ დავეცი და შვილები კარგად გავზარდეთ, ამ მისწრაფებამ გადამარჩინა და სიცოცხლე შემინარჩუნა.

სამედიცინო დასკვნით, ჩემი ერთადერთი მკურნალი ბალნეოლოგიური სანატორიუმებია. მძიმე ეკონომიკური პირობების გამო ხშირად ვერ ვახერხებ წასვლას და მკურნალობას, უფრო სწორად, საგზურს არ მაძლევენ საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროდან.

1972 წელს ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია დამეხმარა და მაშინ მომცეს პიატიგორსკის სანატორიუმში საგზური. იქ მკურნალობამ საოცარი შედეგი გამოიღო და თორმეტი წლის შემდეგ, ნაწილობრივ აღმიდგინა ატროფირებული კუნთები და საერთო მდგომარეობაც გამიუმჯობესდა.

ათი წელიწადია პიატიგორსკში არ ვყოფილვარ, ვთხოულობ საგზურს, მაგრამ არ მაძლევენ, რიგში უნდა ჩადგეო. საინტერესოა, თუ არსებობს ისეთი რიგი, მე რომ პირველი არ ვიყო: ოცდაათი წელი სარეცელს მიჯაჭვული ავადმყოფი, პირველი ჯგუფის ინვალიდი, რომელსაც გამყოლის გარეშე სიარული არ შეუძლია. ჩემი გამყოლი კი ჩემი მეუღლეა, სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი, ჩემი შემყურე და ჩემი მომვლელი.

დიდიხანია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ვთხოვ დამეხმარონ ჩეხოსლოვაკიაში გამზავრებაში. იქ კარგად მკურნალობენ ჩემნაირი დიაგნოზით ავადმყოფებს. მაგრამ აქაც ყურადღებას არავინ მაქცევს.

1985 წელს მომცეს საგზური წყალტუბოს ერთ-ერთ სანატორიუმში, რა თქმა უნდა, მეუღლესთან ერთად გავემგზავრე. დეკემბერი იყო (როცა საგზური არავის უნდოდა) ციოდა. იქ ისე გავცივდი, ძლივს გადავურჩი სიკვდილს.

ახლა, პიატიგორსკის საგზური ზამთრის თვეებში რომ შემომთავაზონ, უარს ვიტყვი.

ისევ თქვენი იმედი მაქვს, იქნებ ზაფხულის თვეებში მარგუნონ საგზური პიატიგორსკში სამკურნალოდ.

ლ. ნაჭყებია,
აბაშა, სოფ. ნორიო.

## რედაქციას უპასუხებს

ჟურნალ „საქართველოს ქალის" 1987 წლის სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი სათაურით — „ასეთი ვაი სახლები". ამის თაობაზე თბილისის გლდანის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. კიკნაძე გვატყობინებს, რომ ი. აგიაშვილის განცხადებაში მოყვანილი ფაქტები ნაწილობრივ დადასტურდა, მაგრამ რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ის შეასახლეს თავიდანვე დანგრეულ ბინაში, არ არის სწორი. მოქალაქის ბინაში შესახლება ბინის წინასწარ დათვალიერების შემდეგ მისივე თანხმობით ხდება.

შემოწმებით დადასტურდა, რომ დღეისათვის აღნიშნული ბინა მოითხოვს მიმდინარე სახის შიდა შეკეთებას, რაზედაც სასტიკი წინააღმდეგია მოქ. ი. აგიაშვილი და პრინციპულად ითხოვს ბინის შეცვლას დედაქალაქის ცენტრში.

გატარებული ზომების შედეგად ელექტროქურა შეკეთებულია, სისტემატურად ხდება ბუნკერების შეწამვლა, ცივი და ცხელი წყალი კორპუსს ეძლევა გრაფიკის მიხედვით, გათბობის საკითხი გადაწყვეტილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაეცანით სარედაქციო ფოსტას

## იმედი

ჩემს წერილს ასეთი სათაური გავუკეთე — უკანასკნელი შანსი, რადგან თქვენ ხართ უკანასკნელი იმედი, ვისაც შეუძლია დაგვეხმაროს, რომ მოვიხსნათ ის გაუგონარი ტვირთი, რომლითაც იტანჯება მთელი კახეთის და შეიძლება ითქვას, მთელი საქართველოს გლეხობა.

წარმოიდგინეთ, ყოველდღიურად ვენახში შესასარად ბეტონის 250 სმ სიგრძის, 50 კგ წონის ტვირთის შეტანა სამოც მეტრ მანძილზე და განა ერთი ან ორი ცალის, ოცდაათის მაინც.

1967 წლამდე 8-10 კგ-იან ბეტონის სარებს უშვებდნენ. სარები მტკიცე იყო და მოხერხებული, ხანდისხან რვა ცალსაც ვიკიდებდით ხოლმე ზურგზე და არ გვღლიდა. მაშინდელი სარები დღესაც კარგად დგას და თავის მოვალეობას მტკიცედ ასრულებს.

მერე ვის დასჭირდა, ვის მოუნდა მისი გადაკეთება და ჩვენი ჯანმრთელობის შერყევა. სარების წონას მოუმატეს და თითოეული 50 კგ-იანი გახადეს. ასეთი სტანდარტიაო, — ამბობენ და იმას კი აღარ ფიქრობენ, ჩვენი მხრები და ფილტვები გაუძლებს თუ არა ამ დატვირთვას.

ვის არ ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ გვპასუხობენ—სახელმწიფო სტანდარტმა უნდა გადააკეთოს, თორემ სხვას არავის შეუძლია თქვენი დახმარებაო.

ახლა იქნებ ჩვენი რჩევაც მოისმინონ: ჩვენი აზრით, 50 კგ-იანი სარის ნაცვლად გამოუშვან 10-12 კგ-იანი სარი, ე. ი. ბეტონის ბოძებზე დავაყენოთ ორი მეტრი სიგრძის და 12 კგ სიმძიმის სარი.

წარმოიდგინეთ,, რამდენი ცემენტისა და რკინის არმატურის ეკონომიაა, რამდენი ტონა მასალა დაიზოგება და სახელმწიფოს ყოველწლიურად დიდძალი მოგება დარჩება.

ხალხის ჯანმრთელობაზედაც ხომ უნდა ვიფიქროთ, ვინც მიწაზე შრომობს, ვინც ვენახს უვლის, ვინც პირნათლად ემსახურება ქვეყანას.

ალ. ხუბაევი,
თელავი, სოფ. ჯულაანი.

# დიასახლისის კუთხე

თუ რძეში მცირეოდენ მარილს ჩაყრით, რძე დიდხანს გაძლებს.

თევზისა და ხახვის სუნი ადვილად ცილდება ხელებს და ჭურჭელს მარილიანი წყლის გადავლებით.

ლარნაკში ყვავილები დიდხანს გაძლებს, თუ წყალში ცოტაოდენ მარილს ჩაუმატებთ.

თუ ხელის მტევნებს რამდენიმე წუთით გააჩერებთ თბილ, მარილიან წყალში, ხელები დარბილდება და სასიამოვნო შეხედულებისა გახდება.

გაუხეშებულ ხელის კანს არბილებს 2 კოვზი აბუსალათინის (კასტორის) ზეთის, 1 კოვზი ძმრისა და 2 კოვზი უმი ცილის ნარევი (იხმარება დღეში ორჯერ). ეს „მალამო“ კარგია დამწვრობის შემთხვევაშიც.

შავი სამუშაოსგან გაუხეშებული და გამუქებული ხელის მტევნები შეგიძლიათ გაიწმინდოთ უმწიფარი პამიდვრით ან მოხარშული, თბილი კარტოფილით.

თმისათვის ძალიან კარგია თავის დაბანა კვერცხის გულით. იგი კარგად უნდა შეისრისოთ თავის კანში, შემდეგ 3-4-ჯერ გადაივლოთ წყალი; ბოლო გადავლებაზე წყალს ჩააწურეთ ცოტა ლიმონის წვენი ან წყალში გახსნილი აქაფებული ცილა.

ცხიმიანი თავი შეგიძლიათ „მშრალად“ დაიბანოთ, თუ თავის კანში შეიზელთ 1 კვერცხის კარგად ათქვეფილ ცილას. თმა კარგად რომ გაშრება გულდასმით დაივარცხნეთ სავარცხლით.

სააბაზანოში სარკე არ დაიორთქლება, თუ მას გაწმენდთ გლიცერინში დასველებული ნაჭრით. სარკეს კბილის საწმენდი პასტისა და პირის საპარსი პასტის შხეფებს მოაშორებთ წყლისა და ძმრის ნარევით (2:1).

თუ გსურთ აბაზანა გააპრიალოთ, წაუსვით მას მარილისა და ძმრის ნარევი (2 კოვზ მარილზე 1 კოვზი ძმარი) და რამდენიმე საათს (შეიძლება მთელ ღამესაც) ასე დატოვეთ. შემდეგ ამ ნარევით კარგად გახეხეთ აბაზანა და ჩარეცხეთ.

თარგმნა ე. ხარატიშვილმა

# ექიმი ჰიგიენისტი გვირჩევს

## რძის ფხვნილისაგან მაწვნის და ხაჭოს მომზადება

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ, რომ რძის ფხვნილი მზადდება ახალი, ნატურალური რძისაგან და ისეთივე სრულფასოვანია, როგორც ნატურალური რძე.

150 გრ რძის ფხვნილი კარგად გახსენით ერთ ლიტრ თბილ (38-40° ტემპერატურის) წყალში, 2-3 საათის განმავლობაში მოათავსეთ მაცივარში ან გრილ ადგილზე, შემდეგ აადუღეთ და რძე მზად იქნება, მაწვნის შესადედებლად.

ერთი ლიტრი ადუღებული რძე შეაგრილეთ ისე, რომ ნეკი ოდნავ დაგეწვათ, (1 ლიტრ რძეზე საჭიროა 1 ჩაის კოვზი მაწვნის დედა). მაწონს ქილებში შეადედებთ თუ ჰიქებში, ეს თქვენი ნებაა. მაწვნის დედა გახსენით მცირეოდენ (2 სუფრის კოვზ) რძეში და თანაბრად გაანაწილეთ ქილებში. შემდეგ დააფარეთ ქილებს ხუფები და შეფუთეთ თბილად. ერთი საათის შემდეგ ფრთხილად გასინჯეთ, თუ შედედებული არ იქნება, კვლავ დატოვეთ ასე ცოტა ხანს. რომ მომზადდება, შეინახეთ გრილ ადგილზე.

ხაჭო შეგიძლიათ მოამზადოთ შემდეგნაირად: ანადუღარ რძეში ჩაასხით (1 ლიტრზე 1 ჰიქა) მაწონი ან 1-2 სუფრის კოვზი კალცი, აურიეთ, რძიანი ქვაბი ჩადგით მოზრდილ წყლიან ქვაბში, შედგით ცეცხლზე და ადუღეთ. რომ აიჭრება, 5 წუთის შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან, შეაგრილეთ, გაწურეთ და ხაჭო მზად იქნება.

ლ. გარნოვსკი,
რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია

## ფხვიერი ფირფიტები ვაშლის ღვეზელისა და კრემიანი ნამცხვრისათვის

ფხვიერი ფირფიტების ცომის მოსამზადებლად საჭიროა 4 კვერცხი, 300 გრ კარაქი, 1 ჩაის ჭიქა ან ერთი დათლილი ჭიქა (თქვენი გემოვნებით) შაქრის ფხვნილი, 1 ლიმონის ცედრა, დანის წვერით მცირეოდენი ვანილი, დანის წვერით მარილი, 1 სუფრის კოვზი კონიაკი ან არაყი.

ყველა ზემოჩამოთვლილი მასალა (გარდა კარაქისა) მოათავსეთ თასში და თქვიფეთ გათეთრებამდე. შემდეგ შეურიეთ ოთახის ტემპერატურაზე შემდნარი კარაქი და განაგრძეთ თქვეფა მანამ, ვიდრე გოგლიმოგლი და კარაქი კარგად არ შეერევა ერთმანეთს. შემდეგ შეაზილეთ იმდენი ფქვილი, რომ მიიღოთ ფაფუკი ცომი; გაყავით იგი სამ ტოლ ნაწილად, (სათითაოდ) მოათავსეთ ცხიმწასმულ და ფქვილმოფრქვეულ გაზქურის ტაფაზე და ფქვილიანი ხელით ნელნელა, მონდომებით გააბრტყელეთ ისე, რომ ცომი მთლიანად მიიყვანოთ ტაფის ნაპირებთან. შედგით გაზქურაში (ნაზ ცეცხლზე) და მიაქციეთ ყურადღება არ დაგეწვათ (ცხვება ძალიან მალე). ოდნავ რომ შევარდისფერდება, სწრაფად გადაიტანეთ ფიცარზე, ვიდრე თბილია, შემოაჭერით ნაპირები (დაახლოებით თითის სიბრტყეზე) ოთხივე მხრიდან და განაგრძეთ დარჩენილი 2 ცომის გამოცხობა, (ფირფიტებიდან შემოჭრილი ნაპირები დაფხვენით კარგად და შეინახეთ ღვეზელის ან კრემიანი ნამცხვრის მოსართავად).

## ფენოვანი ღვეზელი ვაშლით

პირველი ქვედა ფირფიტა მოათავსეთ ლანგარზე, წაუსვით 5-6 სუფრის კოვზი ვაშლის პიურე, დაადეთ ზემოდან მეორე „ფირფიტა“ და წაუსვით 8-10 კოვზი პიურე, მესამე ფირფიტას 10-12 კოვზი პიურე, ზემოდან მოაფრქვიეთ დაფხვნილი მასა (ლამაზად და თანაბრად რომ განაწილდეს, უმჯობესია გამოიყენოთ პლასტმასის მსხვილი საწურავი), ზედაპირი დახაზეთ რომბისებურად ან კუბოკრულად; სადამომდე ფირფიტები გაიჟღინთება, და თქვენს საზეიმო სუფრას დაამშვენებს ფენოვანი ვაშლის ღვეზელი.

**ვაშლის პიურე.** 3 კგ გათლილი, შუაშუა გაჭრილი „ანტონოვკა“ ან რომელიმე რბილი ჯიშის ვაშლი მოათავსეთ ქვაბში, დაასხით 1 ჭიქა წყალი და შედგით ნელ ცეცხლზე, რომ ჩაიშლება, დააყარეთ 3 ჭიქა შაქარი, (პიურე უნდა იყოს მომჟავო და არა ტკბილი) ადუღეთ 5-10 წუთი, გადმოდგით, გააცივეთ და შემდეგ მოიხმარეთ. პიურე შეგიძლიათ მოამზადოთ რამდენიმე დღით ადრე.

თუ გნებავთ მოამზადოთ კრემიანი ნამცხვარი ფირფიტებს ფენასა და ფენას შუა წაუსვით მოხარშული და კარაქის კრემების ნარევი.

## კრემის მომზადების წესი:

ჯერ მოხარშული კრემისათვის მოათავსეთ ქვაბში 4 კვერცხის გული, 2 ცილა, ნახევარი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, დანის წვერით მარილი, 1 ჩაის ჭიქა პურის ფქვილი, კარგად აურიეთ, ნელნელა დაასხით 1 ლიტრი ადუღებული ცივი რძე (თან ურიეთ, რომ ფქვილი კარგად გაიხსნას), შედგით ნაზ ცეცხლზე და გამუდმებით ურიეთ, რომ არ მიიკრას ძირზე. ადუღებიდან 2-3 წუთის შემდეგ გადმოდგით და კვლავ ურიეთ შეუჩერებლად, ვიდრე არ გაცივდება. მორევის გარეშე კრემის თავი ნალებივით შესქელდება და გაუხეშდება. გაცივების შემდეგ შედგით მაცივარში და შეუდექით კარაქის კრემის მომზადებას.

**კარაქის კრემისათვის** აიღეთ ორი კვერცხის გული და ნახევარი ჩაის ჭიქა შაქარი, ათქვიფეთ კარგად, დაასხით მეოთხედი ჩაის ჭიქა ცივი, ანადუღარი რძე, დადგით ნაზ ცეცხლზე და ხის კოვზით გამუდმებული რევით მიიყვანეთ ადუღებამდე. შემდეგ გააცივეთ, შეაზილეთ ოთახის ტემპერატურაზე გამდნარი 200 გრამი კარაქი. უყავით დანის წვერზე მცირე ვანილი, დაბოლოს, მოხარშული და კარაქის კრემები კარგად შეურიეთ ერთმანეთს (უმჯობესია მიქსერით) და მიიღებთ „ფირფიტების“ მოსართავ სასურველ კრემს.

ფირფიტების მესამე, ბოლო ფენას ისევე მორთავთ ფხვიერი მასით, როგორც ვაშლის ღვეზელს.

ნ. ბითაძე

---

**შეცდომის გასწორება**

1987 წ. № 11-ში (გვ. 12) არასწორად მოწოდებული ინფორმაციის შედეგად გაიპარა შეცდომა. როგორც ქ. ლომთათიძე გვაცნობებს, ინგლისელ მეცნიერს, ბ-ნ ჯორჯ ჰიუტს მისი ხელმძღვანელობით არ შეუსწავლია აფხაზური და აბაზური ენები. ქ. ლომთათიძე ხელმძღვანელი იყო ჯორჯ ჰიუტის მეუღლისა — ზ. ხიბასი ასპირანტურაში ყოფნისას.

---

ბარეკანის პირველ გვერდზე: ცხაკაიას სარაიონო კულტურის სახლის ქალთა „კოლხური ტრიოს“ წევრები: ბელა ქამადაძე, დონარა მიმინოშვილი და დარეჯან ფაჩულია. დავით იაკობაშვილის ფოტო; მეოთხეზე — საახალწლო ნატურმორტი. ჯავარ ლომაძის ფოტო


მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. ბურბენიძე, ლ. კაკაბაძე (პ. მგ. მდივანი) ნ. ბაწრინდაშვილი, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ. ძლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. ზალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Издательство ЦК КП Грузии

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58. საერთო განყოფილების — 93-98-54. მასალები გადაეცა ასაწყობად 07.12.87. წ., ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.1.88 წ. ქაღალდის ზომა 60×1/3, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. საარღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8. ტირაჟი 167.000. შეკვ. 2854, უე 04709

Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 58.



ზუგდიდის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი

დ. იაკობაშვილის ფოტო

ფასი 80 კაპ.

ინდექსი

6 141/33

ეროვნული ბიბლიოთეკა

